

17/12/2024



MES 3 24 0001619799

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 03.12.2024

სხდომის დაწყების დრო: 14:07 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:17 სთ

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - სხდომის თავმჯდომარე;
2. **დავით ტეფნაძე** - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს "ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **დიმიტრი ჯაფარიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
10. **ვასილ კიკუტაძე** - შპს "ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **თათია მამრიკიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ:

- პაატა შურღაია - ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- დავით ჩახვაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ერეკლე ზარანდია - ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- გიორგი ღვთაძე - ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით;
- გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით.

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:

- ნინო ენუქიძე - რექტორი;
- თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანი.
- პროგრამის ხელმძღვანელები:
 - ნინო მიქავა, ბაკალავრიატი: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი);
 - ვახტანგ ჩქარული, ბაკალავრიატი: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები);
 - ანა გოგიჩაძე, ბაკალავრიატი: ციფრული მარკეტინგი;
 - მაია ნონიაშვილი, მაგისტრატურა: ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები; ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისთვის;
 - ხათუნა ბურკაძე, დოქტორანტურა: ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში;

- ზვიად გაბისონია, დოქტორანტურა: ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში;
- თამარ კბილაძე, დოქტორანტურა: ბიზნესის ადმინისტრირება.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- თეიმურაზ გოგსაძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო მუხურაძე - სასწავლო პროცესების დეპარტამენტის უფროსი;
- ნინა სუხანსკაია - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;
- ასოცირებული პროფესორი - მარინა ჩავლეიშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ასოცირებული პროფესორი - ია ნაცვლიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- შოთა ფოთოლაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ასოცირებული პროფესორი - ნინო ქიმერიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- თეონა ბერიძე - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- მერაბ ხალვაში - პროფესორი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ემზარ კახიძე - პროფესორი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ივდით დიასამიძე - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

- ენ ლისტრა (Enn Listra)
- ეკა ლეკაშვილი
- თამაზ უზუნაშვილი
- ქეთევან ქავთარაძე
- ქრისტინე ჩიხლაძე
- ლიკა კვინჩია
- თამთა ლეკიშვილი
- სოფიო ხუნდაძე
- ნინო ფარსადანიშვილი
- ია ნაცვლიშვილი
- ბექა ბენდელიანი
- სოფიო ხუნდაძე
- მაია ჭინჭარაშვილი
- თამთა ცხოვრებაძე
- ტატო ლაფაური
- მერაბი ჭუმბურიძე

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა გოჩა თუთბერიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:07 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს "ფინანსების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო და "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო, „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო, „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “არქეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე, რომელიც უკავშირდებოდა მასალების გაცნობის საკითხს.

საბჭომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს "ფინანსების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო და "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ;

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო, „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო, „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ დატოვა სხდომა პირველი საკითხის განხილვისას.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს "ფინანსების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო და "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ციური დურულმა, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საქმის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი, ენ ლინსტრა (**Enn Listra**) მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, ინსტიტუციას და დაადასტურა პატივისცემა მათ მიმართ. აღნიშნა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში იყო კარგად ორგანიზებული, ზოგადად ექსპერტთა ჯგუფს კარგი წარმოდგენა შეექმნა უნივერსიტეტში არსებულ ვითარებაზე. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა ექსპერტების მოთხოვნები და დამატებით გამოთხოვილი მასალები დროულად იქნა მიწოდებული მათთვის. რაც შეეხება პროგრამებს, აღნიშნა რომ განსახილველად წარმოდგენილი იყო ოთხი პროგრამა, შესაბამისად ექსპერტების ხედვები და შენიშვნები პროგრამების მიხედვით განსხვავებული იყო. რაც შეეხება რეკომენდაციებს, აღნიშნა, რომ „ფინანსების“ პროგრამაში რეკომენდაციები უმეტესად ეხებოდა, შინაარსს და დეტალებს სასწავლო კურსთან მიმართებაში. "ბიზნესის მენეჯმენტი და

ციფრული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამები არის იდენტური, მათ შორის განსხვავებაა მხოლოდ სწავლების ენაში, ასევე აღნიშნა, რომ მათ მიმართ გაცემულ იქნა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების გამრავალფეროვნებას სამიზნე ჯგუფი საფუძველზე, რადგან ერთი იყო ქართულ რეალობაზე ორიენტირებული ხოლო მეორე, მოიცავდა ფართო აუდიტორიას. რაც შეეხება "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამას, რამდენიმე რეკომენდაცია იქნა გაცემული, კერძოდ სტუდენტების უკუკავშირის სისტემის გაუმჯობესება, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების გაზრდა, ასევე ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მეტი ანალიზის ჩატარება, იმის დასადგენად თუ რა არის სტუდენტების „ჩაჭრის“ გამომწვევი მიზეზი. ასევე აღნიშნა, რომ ცოტა უფრო მეტი რაოდენობით იყო წარმოდგენილი რჩევები განსახილველ პროგრამასთან მიმართებით, რომელთა მიზანია უნივერსიტეტს მიაწოდოს მეტი იდეა, იმისათვის, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს სამომავლოდ პროგრამები. რჩევები გაცემულ იქნა როგორც კლასტერულ დონეზე, ასევე ინდივიდუალურად, პროგრამების მიხედვით. კლასტერულ დონეზე გაცემულ რჩევებში აღნიშნული იყო ის, რომ ყველა პროგრამის მიზნები იყო ერთმანეთის მსგავსი და შეიძლება უკეთესი ყოფილიყო თუ მოხდებოდა მათი უნივერსალური ფორმით ჩამოყალიბება, პროგრამების განვითარებისა და შედარების მიზნით. ასევე, აღინიშნა გარე შეფასება, რომელიც გარკვეულწილად ფორმალური იყო, განაცხადა, რომ ეს შესაძლებელია არ ყოფილიყო უნივერსიტეტი მიზეზით, თუმცა საჭირო იყო გარე შემფასებლებისთვის უფრო მეტი მოთხოვნის წაყენება ამ თვალსაზრისით. ინდივიდუალური რჩევებს რაც შეეხება, ფინანსების პროგრამების მიმართულებით გაცემულ იქნა რჩევა, რომ მიზნებში უფრო მკაფიოდ ასახულიყო ინტერაციონალიზაციის საკითხები, ასევე, ის რომ უნივერსიტეტმა იფიქროს და სტუდენტებს შესთავაზოს საბაკალავრო ნაშრომი ან კვლევითი პროექტი სანამ ისინი გადავლენ სამაგისტრო დონეზე, სადაც მიეცემათ უფრო მეტი პრაქტიკული გამოცდილება. რაც შეეხება, ბიზნესის მენეჯმენტის და ციფრული ტექნოლოგიების ორ პროგრამას, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის შიგნით, რაც სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებთან იყო დაკავშირებული. ადამიანური რესურსები მართვის პროგრამასთან მიმართებით, აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა იყო, პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ ასახულიყო ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს ნათელი წარმოდგენა მისი საქმიანობის შესახებ და ქმნის შესანიშნავ ინფრასტრუქტურას სტუდენტებისთვის და ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა უნდა იამაყოს იმით რასაც აკეთებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ფინანსების მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსური რისკების სილაბუსს ეხებოდა, ტექნიკური ხასიათის ხარვეზი იყო საათების დათვლასთან დაკავშირებით და რომ ის იმ დროისათვის უკვე გასწორებული იყო, “ფინანსების” პროგრამის ხელმძღვანელმა, პაატა შურღიაძემ, განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია ხსენებულ პროგრამასთან მიმართებაში, იყო ინვესტიციების შეფასება, მიგნების კუთხით, მასში ორი ნაწილი იყო. ერთი ლიტერატურის განახლებას ეხებოდა, რომელსაც ეთანხმებოდა და აღნიშნა, რომ მოახდენენ ლიტერატურის კიდევ უფრო განახლებას საგნის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, თუმცა აღნიშნა, რომ არსებული ლიტერატურა არც ისე მოძველებული იყო, რადგან ერთი იყო „ვან ჰორნი“ კლასიკური ფინანსების ლიტერატურა და მეორე 2019 წლის ქართული ვერსიით დათარიღებული. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მეორე ნაწილი ეხებოდა დისციპლინის ელემენტებს, როგორიც იყო ფინანსებში, კაპიტალური ბაზრის ფასიანი ქაღალდების ობლიგაციების უფრო მეტი დოზით წარმოდგენას. მაგალითად დერივატივებთან და პასიურ აქტივებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ

წიგნის ნაწილი, სადაც გაწერილი იყო დისციპლინები, მოიცავდა ამ ყოველივეს, თუმცა სილაუსის ნაწილზე კონკრეტულ თემებში მოახდენენ ამ ყოველივეს წინწამოწევას, შესაბამისად, გაითვალისწინებენ აღნიშნულ რეკომენდაციას სრულად. მეორე საკითხი ეხებოდა საგნის დასახელებას, ფინანსური მოდელირება „Excel“-ის გამოყენებით, აღნიშნა რომ თავად საგნის შინაარსი, ფინანსური მოდელირება კალმით და ფურცლით აღარ გამოიყენებოდა, მას სჭირდებოდა შესაბამისი ციფრული პროგრამები. მან განაცხადა რომ პროგრამას ჰქონდა ფუფუნება ამ ყოველივეს გაკეთება „Excel“-ის გამოყენებით. ასევე, შენიშვნა იყო გამოთქმული ექსპერტების მიერ, რომ მოცემული სტანდარტები უფრო მეტად შეესაბამება Excel-ის კურსს და ადასტურებდა პროგრამის ხელმძღვანელიც, რომ ეს ნამდვილად იყო ხარვეზი. ექსპერტების მიერ მოცემული იყო რამდენიმე ალტერნატივა, რომ მომხდარიყო ან საგნის სახელის ცვლილება ან თავად კურსის შინაარსის, შესაბამისად, რადგანაც აქცენტი იყო ფინანსური მოდელირება Excel-ის გამოყენებით, შეიცვლებოდა სილაბუსი და წარმოდგენილი იქნებოდა ახალი სილაბუსი. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მესამე საკითხი ეხებოდა ტექნიკური ტიპის ხარვეზს და რომ გამოსწორებული იყო ამ დროისათვის. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა, რომ დაწესებულებას წარმოედგინა „ფინანსების“ კუთხით, არჩევითი საგნების უფრო ფართო სპექტრი, ინსტრუქციას აქვს ამის ფუფუნება და ეს ტექნიკური საკითხებია, იქედან გამომდინარე რომ ფინანსების პროგრამას აქვს დიდი ისტორია და ასევე რამოდენიმე მიმართულება, როგორც იყო კორპორატიული ფინანსების მიმართულება, ფინანსური აუდიტის და გადასახადების მიმართულება, შესაბამისად შეთავაზებული იქნებოდა სტუდენტებისათვის რამოდენიმე ალტერნატივა არჩევითი საგნებისა, მაგალითად აქციებისა და ობლიგაციების შეფასება რომელიც უფრო ორიენტირებული იქნებოდა კაპიტალის ბაზართან და მეტნაკლებად არსებული ეკონომიკისთვისაც საინტერესო საკითხი იქნებოდა, ასევე, არსებობდა „საგადასახადო აუდიტის“ შესაძლებლობა. შესაბამისად სამი-ოთხი დისციპლინის დამატებით შეთავაზება მოხდებოდა სტუდენტებისათვის არჩევით საგნად.

„ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ერეკლე ზარანდიამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ღირებული რეკომენდაციებისთვის და გამოთქვა მზაობა არსებული რეკომენდაციების შესრულებისა. აღნიშნა, რომ ხსენებული პროგრამის მიმართ გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია, კერძოდ „უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სწავლის შედეგების ფორმულირების უფრო მკაფიო დიფერენციაცია ორი პარალელური პროგრამის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით“ პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გამომდინარე იქედან, რომ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი ორივე პროგრამა იდენტურ შედეგზე გამსვლელია, სეგმენტირება არ არის გაკეთებული, რადგანაც პირს ჰქონდეს საშუალება ერთიანი ეროვნული გამოცდების საშუალებით, ჩააბაროს ინგლისურენოვან პროგრამაზე რადგან თანამედროვე მიდგმა არის, რომ უნივერსიტეტები ცდილობენ ინგლისურენოვანი პროგრამები დაინერგოს, მაგალითად სამედიცინო მიმართულებითაც უკვე არსებობს ინგლისურენოვანი პროგრამები, ასევე საერთაშორისო მიმართულებითაც დაწყებულია ინგლისურენოვან სწავლებაზე გადასვლა. შესაბამისად იმ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ რომ ისწავლონ ინგლისურ ენაზე, უნივერსიტეტმა მისცა ამის შესაძლებლობა, აღნიშნა მან. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან საუბარი იყო აგრეთვე ინტერნაციონალიზაციაზე და ორივე პროგრამა, როგორც ქართული, ასევე ინგლისური ერთნაირ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, რაც მოიაზრებს გაცვლით პროგრამებს, ინგლისურად კურსებს, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებს და კვლევებში ჩართულობას. „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ჩახვაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია იყო გაცემული პროგრამასთან მიმართებით, ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა უკუკავშირის სისტემის გაუმჯობესებას და მან აღნიშნა რომ უკვე იმუშავეს ამ საკითხთან დაკავშირებით, მომზადებული იყო შესაბამისი ინსტრუქციები ლექტორებისთვის რომლებიც მაქსიმალურად იქნებოდნენ ჩართულები ამ პროცესში. შემდეგი რეკომენდაცია სტუდენტებისა და სამაგისტრო

ნაშრომების ხელმძღვანელების თანაფარდობას ეხებოდა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც გამოცხადებული იქნებოდა კონკურსი და ახალი ხელშეკრულება დაიდებოდა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან, იმისათვის რომ სტუდენტებს უფრო მეტი არჩევანის საშუალება ჰქონოდათ იმ თემებთან დაკავშირებით, რა მიმართულებითაც მოუწოდებოდათ მუშაობა. კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სისტემას, რომელიც აწვდის ინფორმაციას ფაკულტეტს, სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ, სადაც მოცემულია პროცენტული მაჩვენებელი იმ სტუდენტების რომელთაც აქვთ სხვადასხვა საგნებთან და კურსებთან დაკავშირებით დაბალი ქულები, აღნიშნა, რომ იმუშავენ ამ მიმართულებით, დააკვირდებიან მიმდინარე და მომდევნო სემესტრის შედეგებს და თუ კი ამის საჭიროება იქნება, მოხდება ცვლილებები რომ თანაფარდობა უფრო გაუმჯობესდეს და ოპტიმალური იყოს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ მიესალმა სხდომაზე დამსწრე წევრებს და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისათვის, აღნიშნა, რომ რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, პირველი კითხვა ჰქონდა ფინანსების საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით, აღნიშნა, რომ გამოყენებითი სტატისტიკის ნაწილში რომელიც მიწოდებული იყო მეორე სემესტრში, მას წინაპირობად ჰქონდა „მათემატიკა ბიზნესისთვის“ რომელიც პირველი სემესტრის სასწავლო პროგრამის ნაწილი იყო და მეორე „თანამედროვე საოფისე პროგრამები“. საოფისე პროგრამები, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ნაწილი და მიეწოდება მეორე სემესტრში, შესაბამისად მას დამაზუსტებლად აინტერესებდა, თუ ეს ყოველივე ასე იყო, სასწავლო მასალის ათვისების ან პედაგოგიკის პერსპექტივიდან რამდენად სწორად იყო დაგეგმილი. თავად, ძირითადი სასწავლო კურსი, გამოყენებითი სტატისტიკა არის მეორე სემესტრში და იმავდროულად წინაპირობაც იგივე სემესტრში მიეწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ამასთან დაკავშირებით, რომ მოცემული საკითხი იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა, როგორც დასაწყისშივე აღნიშნეს და ამ დროისათვის უკვე გამოსწორებული იყო. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებში აკადემიური და თანამედროვე საოფისე პროგრამები არის მოცემული, პირველ სემესტრში არის თანამედროვე საოფისე პროგრამები და მეორე სემესტრში არის აკადემიური წერა, შესაბამისად ტექნიკური ხასიათის შეცდომას ჰქონდა ადგილი რომელიც უკვე გამოსწორებულია, განაცხადა მან.

კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა საბჭოს წევრს იმავე პროგრამასთან მიმართებით, მან აღნიშნა რომ ნაწილობრივ საუბარი იყო ინვესტიციების შეფასების სასწავლო კურსთან მიმართებით, რომელიც მნიშვნელოვანი ღირებულების სასწავლო კურსი იყო, რომელიც კურსდამთავრებულების კვალიფიკაციას წინ წევდა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოჰყავდა. ასევე, აღნიშნა რომ ლიტერატურაზე იყო საუბარი, რომელზედაც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა რომ ორი აქტუალური სახელმძღვანელო იყო, ეს არის სტივენ ლამბის საინვესტიციო სახელმძღვანელო და მეორე კლასიკური სახელმძღვანელო ვან ჰორნის, და სილაბუსში მითითებულია 2019 წლის ვერსია, რომელზედაც განაცხადა პროგრამის ხელმძღვანელმა რომ განახლდებოდა გამოცემის თარიღის მიხედვით, საბჭოს წევრმა ასევე იკითხა სტივენ ლამბის სახელმძღვანელოს შესახებ, რომ მისი ქართული ვერსია 1999 წელს არის ნათარგმნი და რომ იმდენად მაღალ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს ფინანსების სახელმძღვანელოს თარგმნა, დიდი ალბათობით უფრო ახალი ქართული თარგმანი არ იქნებოდა ბაზარზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაეთანხმა რომ სილაბუსში სწორედ ამ ორ სახელმძღვანელოზე იყო საუბარი.

შესაბამისად, საბჭო წევრს დიმიტრი ჯაფარიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, „ინვესტიციების შეფასებას“ ცხრა კრედიტი აქვს მინიჭებული და მას აინტერესებდა რამდენად

შესაბამისობაში იყო ეს იმ სასწავლო მასალასთან, სწავლის შედეგებთან და დატვირთვასთან, რადგან სილაბუსის მიხედვით ძირითადი აქცენტი მაინც გაკეთებული იყო, რისკზე და ა.შ. შესაბამისად, სახელმძღვანელოს ყველა თემატიკას არ მოიცავდა, გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრი მიიჩნევს რომ დატვირთვა სტანდარტულია, 150 სამუშაო საათში, საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო მეთოდოლოგიის განაწილებით შესაძლებელია შესაბამისობაში მოყვანა.

ფინანსების პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შეკითხვა იყო ძალიან აქტუალური, რადგან პროგრამის შექმნისას ფინანსისტები მსჯელობდნენ რამდენ კრედიტიანი შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნული საგანი. მან აღნიშნა, რომ ფინანსური ინვესტიციები და ზოგადად ეს მიმართულება, კორპორატიული ფინანსების ერთ-ერთი რთული თემატიკაა და არა მხოლოდ საქართველოში. ეს ჯაჭვში არის ფინანსურ მენეჯმენტთან, რომელიც ისწავლება წინა სემესტრში, შემდეგ მოდის ინვესტიციების შეფასება და შემდგომ არის ინვესტიციების რისკები და აღნიშნა რომ რისკებთან მიმართებაში და იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტების მხრიდანაც მიგნებაც იყო, რომ კორექტირებები ყოფილიყო გაკეთებული ლიტერატურის, მასალისა და თემატიკის გამდიდრება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გადაწყდა რომ უნდა ყოფილიყო ცხრა კრედიტიანი. თემატიკას ასევე უნდა დაემატოს პასიური ფინანსური აქტივები, ობლიგაციების ნაწილი და მრავალი სხვა, შესაბამისად ამ თემატიკის გათვალისწინებით, უფრო დატვირთული იქნებოდა სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ დაამატა, რომ თუ იქნება გათვალისწინებული ის, რომ სახელმძღვანელო სპეციფიური იყო, სადაც კონცეპტუალური ახსნა ხშირ შემთხვევაში არ იფარგლება მათემატიკურ ალგებრულ მეთოდით და გრაფიკულ ახსნებთანაც იყო საქმე, რაც ასევე ითხოვს მიბრუნებას ეკონომიკის კონცეპციებთან. შესაბამისად, ამ მიმართულებით დიდი სამუშაო იქნება ჩასატარებელი, რომ სტუდენტებმა არა ალგებრულ ჭრილში, არამედ კონცეფციით გრაფიკული მეთოდის მეშვეობით სრულად აღიქვან, განაცხადა მან. მას ასევე კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ ფინანსური ანგარიშგება და ფინანსური ანალიზი ცალკე სასწავლო კურსებად იქნა გამოყოფილი, გასაგებია დაწესებულების პოზიცია მაშინ როდესაც კვალიფიკაცია არის ფინანსების ბაკალავრი და არა ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში. მას აინტერესებდა, ფინანსური ანგარიშგების და უწყისების ნაწილში, ცალკე სასწავლო კურსებიდან, გამომდინარე სასწავლო მეთოდოლოგია ეფუძვნება ფინანსებში სამაგისტრო აკადემიური პროგრამის შემთხვევაში გამოყენებულ ლიტერატურას, რომელიც უფრო აკადემიური და ფართოა თუ კონკრეტულად პროფესიულ სტანდარტზეა უფრო დაფუძნებული, მაგალითად როგორც არის დიპლომირებული საფინანსო ანალიტიკოსის თუ სხვა ტიპის პროგრამაზე, საბჭოს წევრს აინტერესებდა, როგორ გადიოდა დაწესებულება ექვს კრედიტზე. აღნიშნა, რომ აკადემიური პროგრამებში ერთდ არის მოცემული კლასიკური სტრუქტურის შესაბამისად, ფინანსური აღრიცხვა და მენეჯერული აღრიცხვა, როგორც წესი, ფინანსურ აღრიცხვაშია გაერთიანებული. შესაბამისად მას აინტერესებდა მოცემულ პროგრამასთან მიმართებით როგორ იყო ეს საკითხი მოწესრიგებული. დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ აკადემიური და პრაქტიკული ნაწილების კომბინაცია იყო პროგრამაში, მან აღნიშნა, რომ ის არის სერტიფიცირებული ფინანსისტი, შესაბამისად, „ბენჩმარკის“ გაკეთების დროს და მათ შორის დამსაქმებლებთან კომუნიკაციის კუთხით, მოცემული ორი დისციპლინა უნდა იყოს განსხვავებული, იმიტომ, რომ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბალანსო მონაცემებზე კომპანიების ფინანსური ანგარიშგების განხორციელებას, როგორცაა მაგალითად აუდიტორული კომპანები ასახავენ. ანუ, მას ანალიზი ახლავს, მაგრამ უფრო მეტად ეს არის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მისი მომზადება. რაც შეეხება ფინანსური უწყისების ანალიზს, მასში უფრო მეტად, ვიდრე გარე მხარისთვის, არის კორპორატიული შიდა მიზნებისთვის. გამომდინარე აქედან, ფინანსურ უწყისებზე უფრო მეტად არის ანალიტიკური ველი, ხოლო რაც შეეხება ფინანსური ანგარიშგება მისი ბეგრანდი არის ფინანსური აღრიცხვა.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ თავისი მოსაზრება გამოთქვა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ნაწილში, პირველ რიგში აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ძალიან საინტერესო, მით უფრო ამ ბოლო პერიოდში გლობალური მასშტაბებზე განსაკუთრებული მოთხოვნის არსებობის პირობებში, მათ შორის მაღალი დონის მენეჯერებისათვის. გამომდინარე იქედან, რომ ბოლო ათწლეულის მოვლენებმა როგორც სასაქონლო სანედლეულო და უფრო მეტად ახალი ეპიდემიურ აფეთქების ჭრილში ახალი შტრიხი შემოიტანა, როგორც მართვაში ასევე მოძიებაში, რაც მთავარია ეს ყველაფერი უკვე შეიფუთა მნიშვნელოვან თანმდევ თანამედროვე პროცესზე, რასაც ჰქვია ტექნოლოგიური გარღვევა. შესაბამისად წარმოდგენილ პროგრამებში ადამიანური რესურსების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის დაფუძნებას გამდიდრებას და ბერკეტირებას, განსხეულებას, თანამედროვე ციფრული ტრანსფორმაციის ასპექტებში. მან აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაში მოისაკლისა ციფრული ტრანსფორმაციის მძლავრი კომპონენტი, შესაძლოა ეს იყოს გაშლილი თემატურად იმის მიხედვით თუ როგორ არის პროგრამის ტაქტიკა. შესაბამისად მას აინტერესებდა პროგრამის ხელმძღვანელისაგან თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა დაწესებულება ციფრულ ტრანსფორმაციას ადამიანური რესურსების მაღალი დონის მენეჯერებისთვის და პროგრამის მისადაგებას ამ ყოველივესთან. შესაბამისად საინტერესო იყო, რომ ეს ყოველივე უკვე იყო პროგრამაში, თუ სამომავლოდ აპირებდნენ პროგრამაში მათ ინტეგრირებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ტალანტების მოძიების, შერჩევის ეტაპზე, ასევე მათთან მუშაობისა და მოზიდვის ეტაპზეც ძალიან მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და მათი პრაქტიკაში დანერგვა. შესაბამისად, ამ მიზნით პირველივე სასწავლო კურსი, რომელსაც გადიან სტუდენტები „ადამიანური რესურსების მართვა თეორია და პრაქტიკა“ გათვალისწინებულია. დაწესებულება იყენებს ინდური კორპორაცია „zoho“ შესაბამის პლატფორმას და შინაარსობრივადც და ფორმალურადაც ერგება საქართველოში იმ პლატფორმებს, რომელსაც იყენებენ კომპანიები, ეს დამსაქმებლებთან ერთად გავლილი საკითხია. ასე, რომ სტუდენტებს აქვთ, ამ ციფრულ პლატფორმასთან შეხება და მისი მეშვეობით ითვისებენ იმ პრაქტიკებს, რომელსაც დღეს იყენებენ ადამიანური რესურსების მართვის გამოცდილებაში, მოზიდვა პერსონალის, შერჩევა შენარჩუნება, მისი შიდა მართვა და რეკრუტინგი და ა.შ.

დამაზუსტებლად საბჭოს წევრმა იკითხა, მოცემულ პლატფორმაში ხომ არ იყო ასახული, ადამიანური რესურსების მომზადებაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ისეთი ტექნოლოგიური კომპონენტები, როგორიცაა ვირტუალური და გაფართოებული რეალობა და ა.შ. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ნაწილი უფრო გამოყენებითი ნაწილია და საგანში ჩადებულია პროექტი, რომელშიც უნდა გამოიყენონ ეს ყოველივე და რაც შეეხება, თავად ტრენინგებს და კვალიფიკაციის ამაღლებას ამაზე ცალკე სასწავლო კურსი არსებობდა პროგრამაში, სადაც ტრენინგების, პროექტების მომზადება დაგეგმა და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება ისწავლებოდა.

საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, მას აინტერესებდა, პროგრამის სწავლის შედეგები შეფასებასთან დაკავშირებით რა პროცესთან გვქონდა საქმე, უფრო ნათლად რომ ყოფილიყო წარმოჩენილი შედეგების შეფასების დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება იმ სტანდარტს რაც იყო მოცემული კანონმდებლობით, ასევე აღნიშნა რომ ჰქონდათ პროგრამის ირგვლივ მუშაობა, როგორც დამსაქმებლებთან ასევე, კურსდამთავრებულებთან და ის სტანდარტი რომელიც შემუშავებული აქვს დაწესებულებას აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხარისხის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შეფასების შედეგები ინტეგრირებულია ბაზაში, თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სწავლის თითოეული შედეგი და ამ სასწავლო კურსებში ის კომპონენტები, ეს პრაქტიკული დავალება იქნება, პრეზენტაცია თუ სხვა და სხვა. რომელ შედეგზე, რომელ სასწავლო კურსით და რომელი პრაქტიკული

დავალებით გავყავართ, ეს ჩაშენებულია ბაზაში, შესაბამისად ამის შესახებ თავად ბაზა იძლევა ინფორმაციას, და გამომდინარე იქედან, თუ რა პრობლემა დაფიქსირდა შედეგზე გასვლის დროს, იქნება ეს პრაქტიკული კომპონენტი, სასწავლო კურსი, თავად ლიტერატურა, თუ ა.შ. დაწესებულება, მუდმივად მუშაობს ამასთან დაკავშირებით და ხდება სასწავლო კურსში მოდიფიცირება, განაცხადა მან.

საბჭოს წევრმა დასაზუსტებლად იკითხა, ყურადღება გაამახვილა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ „HR” სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით სწავლის შედეგების შეფასება ამ ეტაპზე ვერ განხორციელდა დადგენილი წესით და ინსტრუქციით, და ჩამოთვლილი იყო მიზეზები, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით ქონდა კითხვა მას, რატომ ვერ განხორციელდა და ხელშეშლა რაში მდგომარეობდა, გასაგებია მოცემულობა, რომ მექანიზმი აქვს დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაზაში ჩაშენების შემდგომ, ახალი ინსტრუქციით არ განხორციელებულა ამ ეტაპისთვის შეფასება, თუმცა ზოგადად შეფასება ხორციელდება მუდმივად და ანგარიშიც იყო წარმოდგენილი ამის თაობაზე.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ნამდვილად დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დანართის სახით, ადამიანური რესურსების მართვის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, რომელსაც საკმაოდ თეორიული და ზოგადი სახე ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში წაკითხვიდან არ ჩანდა რა დროით იქნა თითოეული შედეგი მიღწეული ან რა იყო გადაცდომა სამიზნე ნიშნულიდან, ან სხვა რაც საინტერესოა შედეგების შეფასებიდან, თუმცა იქ ახსნილი იყო, თუ რა დაკონკრეტდა, მაგალითად შეფასების მეთოდები დაკონკრეტდა და ა.შ. თუმცა, სწორედ ამ პროგრამასთან მიმართებით, სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის რუკაში არ ჩანდა სწავლის შედეგების განვითარების თანამიმდევრობა. მნიშვნელობა არ აქვს რომელი საფეხურის პროგრამაზე იყო საუბარი, თითოეული სწავლის შედეგი თანმიმდევრულად უნდა ვითარდებოდეს, ხოლო არსებულ კურიკულუმის რუკაში პირველივე შედეგი მტკიცდება, პირველივე წელს, პირველივე სემესტრში, ამის შემდეგ ხდება, მისი გაღრმავება, მისი გაცნობა, ისევ განმტკიცება და ა.შ. მეორე შედეგთან მიმართებაშიც იგივეს თქმა არის შესაძლებელი, მაგალითად მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე შედეგი, პირდაპირ გაღრმავებით იწყება, განაცხადა მან.

პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ რჩევის სახით გამოთქვა მოსაზრება საბჭოს წევრმა, რომ იქნებ მოხდეს გადახედვა და დაკორექტირება, უფრო ზუსტად იქნას განსაზღვრული იმ სასწავლო კურსები, რომელიც მონაწილეობს ამა თუ იმ შედეგის ფორმირებაში და დაკორექტირდეს, თუ რა დონით მონაწილეობს ესა თუ ის სასწავლო კურსი ამა თუ იმ შედეგის ფორმირებაში, რაც უფრო მეტად გაამარტივებს აღწერილი მექანიზმით შედეგის მიღწევის დონის შეფასებას და შემდეგ უკვე შესაბამისად, იმ ცვლილებების განხორციელებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ, პროგრამის განვითარებას წაადგება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შედეგებზე მუშაობის პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც დამსაქმებლები, ისე აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, სტუდენტები, თითოეული შედეგის დადგენის დროს დაწესებულების მიდგომა იყო შემდეგნაირი, რომ თითოეულ შედეგზე სხვადასხვა სასწავლო კურსი სხვადასხვა დონეზე გადის. ზოგიერთი სასწავლო კურსი გადის პირველ დონეზე, ზოგიერთი მეორე და მესამეზე და ამიტომ ამ ასპექტით, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ლოგიკურად არის აწყობილი და აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს რაც სასწავლო კურსს აქვს წაყენებული, აღნიშნა პროგრამის ხელმძღვანელმა.

სხდომის თავმჯდომარეს გოჩა თუთბერიძეს რამდენიმე შეკითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, ერთ-ერთ კლასტერული რჩევის ირგვლივ, კერძოდ რჩევა ითვალისწინებდა, რომ „სასურველია სასწავლო კურსებში, სწავლების პრაქტიკული მეთოდების გაძლიერება”, ვინაიდან ეს პროგრამები არის საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ცოტათი განსხვავებული, ვინაიდან არ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ან მაგისტრი, არამედ - ფინანსების ბაკალავრი, მენეჯმენტის ბაკალავრი და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამები უნდა იყოს პრაქტიკული

ორიენტაციის და არა თეორიული და პრაქტიკული. შესაბამისად, მას აინტერესებდა უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ამ კუთხით კლასტერული რეკომენდაციის მიცემა ვიდრე რჩევის, რადგან მან აღნიშნა, რომ გადახედა სასწავლო კურსების სილაბუსებს, ლიტერატურას და ა.შ. პრაქტიკულად არსებითად არ განსხვავდება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროგრამებისგან. სწავლის სფეროების კლასიფიკატორი იმიტომ ანსხვავებს კვალიფიკაციებს, რომ ერთი არის თეორიული პრაქტიკული მიმართულება, მეორე არის პრაქტიკული ორიენტაცია და ა.შ. შესაბამისად, მან აღნიშნა, თუ კი იგივე ისწავლება პრაქტიკულად, რასაც პირველი კვალიფიკაციის შემთხვევაში განსხვავება რაში მდგომარეობდა. შესაბამისად ხომ არ სჯობდა ყოფილიყო რეკომენდაცია, რადგან ნამდვილად აკლია პრაქტიკული ნაწილი ბევრ სასწავლო კურსებში. ასევე აღნიშნა, რომ ლიტერატურის ნაწილი ძალიან სერიოზულ გადახედვას საჭიროებდა ამ მიმართულებით, რაზედაც ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ახალი 180 კრედიტიანი პროგრამები ძირითადად ისე ჩამოყალიბდა, რომ არსებული 240 კრედიტიანი პროგრამებიდან გამოეყო პროგრამული ნაწილები, რომლებიც კვალიფიკაციის მიღწევას ემსახურება და შემცირდა იმ არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების ხარჯზე და აქედან გამომდინარე, იყო სწორედ ის მსგავსება რაც დაინახა საბჭომ, რომ რაც არის 240 კრედიტიან პროგრამებში თითქმის ის არის წარმოდგენილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება იმ თვალსაზრისში საბჭოს წევრს, რომ პრაქტიკული ნაწილის კუთხით უნდა გაცემულიყო რეკომენდაცია, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ უფლება გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურაში. მათ თეორიული ნაწილი ისევე სჭირდებათ, როგორც 240 კრედიტის საბაკალავრო პროგრამის პირობებში. შესაბამისად, სწორედ იმიტომაც იყო აღნიშნული, რომ აუცილებელია პრაქტიკული ნაწილი, ეს ასევე აღინიშნა კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მხრიდანაც, აქედან გამომდინარე იქნა ასახული დასკვნაში, აღნიშნა ექსპერტმა.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ დააზუსტა, რომ სწავლის სფეროს კლასიფიკატორი კვალიფიკაციებს განასხვავებს სწორედ იმ ნიშნით, რომ მაგალითად თუ არის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, ან მაგისტრი ეს ნიშნავს, რომ ეს პროგრამა ამ შემთხვევაში არის ორიენტირებული როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ ნაწილზე, სხვა შემთხვევაში არის ძირითადად ორიენტირებული უფრო პრაქტიკულ ნაწილზე და ეს არ ნიშნავს, რომ იქ თეორია საერთოდ არ ისწავლება, მაგრამ აქ საუბარია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე ასეთ შემთხვევაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის ამას აღიქვამს სისტემური ფორმით იმ თვალსაზრისით, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს აქვს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება და აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ეს დონეები ლოგიკურად დაკავშირებული იყოს მათ შორის წინაპირობების თვალსაზრისითაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:20

დასრულების დრო: 15:48

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ-ს "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შედეგების და მიზნების უკეთ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია, საინვესტიციო შეფასების კურსის შინაარსის და ლიტერატურის განახლება ან შეცვლა. აღნიშნულ კურსში განხილულია ფინანსური აქტივები, თუმცა არ არის წარმოდგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა: პასიური პორტფელის შეფასება (მინიმუმ ორი აქტივისთვის), ობლიგაციის ხანგრძლივობა, იმუნიზაცია და ოპციონების ფასწარმოქმნა (ბლექ - შოულსის ან / და ბინომური მოდელი). ძირითადი ლიტერატურა მოძველებულია და არ მოიცავს ფინანსური აქტივების შეფასებას. რეკომენდებულია, კურსის ძირითადი ლიტერატურის შეცვლა და კურსში შეფასების თემების გათვალისწინება.
- კურსი საფინანსო მოდელირება Excel - ში პრაქტიკულად არის Excel - ის კურსი. ის არ მოიცავს ფინანსური მოდელირების თემებს. რეკომენდებულია, შეიცვალოს კურსის სახელწოდება და ეწოდოს MS Excel ან შეიცვალოს კურსის შინაარსი და ლიტერატურა.
- პროგრამაში და ფინანსური რისკების მართვის სილაბუსში აღნიშნულ კურსს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი (150 საათი). თუმცა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამი შეადგენს 125 საათს (რაც შეესაბამება 5 კრედიტს), შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული საკითხის კორექტირება.
- "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების არჩევითი კურსების ფართო სპექტრი, თუმცა არ არის წარმოდგენილი არჩევითი კურსები ფინანსების მიმართულებით. რეკომენდებულია, ფინანსების მიმართულებით მეტი არჩევითი კურსების შეთავაზება: დერივატივების ბაზრები, ფინანსური მოდელირება და ა.შ.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზნების უფრო უნივერსალური ფორმულირების შემუშავება, იმისათვის, რომ გამარტივდეს მიზნების შიდა შედარების შესაძლებლობა. მაგალითად, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული სხვა პროგრამებთან შედარებით.

2.3 სასურველია, სასწავლო კურსებში სწავლების პრაქტიკული მეთოდების გაძლიერება.

3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა სტუდენტების სამეცნიერო აქტივობებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის წახალისების და ხელშეწყობის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ მეტ ინფორმირებულობას და ხელმისაწვდომობას, აკადემიური და პროფესიული განვითარების მიზნით.

5.2. პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, სასარგებლო იქნება მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასების განხორციელება.

ინდივიდუალური რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

2.1 სასურველია, აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით უნივერსიტეტმა პროგრამაში შეიტანოს ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების შესახებ.

2.2 სასურველია, არჩევითი კურსის სახით შეთავაზებული იყოს საბაკალავრო ნაშრომი ან კვლევითი პროექტი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ-ს "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სწავლის შედეგების ფორმულირების უფრო მკაფიო დიფერენცირება, ორი პარალელური პროგრამის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზნების უფრო უნივერსალური ფორმულირების შემუშავება, იმისათვის, რომ გამარტივდეს მიზნების შიდა

შედარების შესაძლებლობა. მაგალითად, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული სხვა პროგრამებთან შედარებით.

2.3 სასურველია, სასწავლო კურსებში სწავლების პრაქტიკული მეთოდების გაძლიერება.

3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა სტუდენტების სამეცნიერო აქტივობებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის წახალისების და ხელშეწყობის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ მეტ ინფორმირებულობას და ხელმისაწვდომობას, აკადემიური და პროფესიული განვითარების მიზნით.

5.2. პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, სასარგებლო იქნება მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასების განხორციელება.

ინდივიდუალური რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა ორი პარალელური პროგრამის არსებობიდან გამომდინარე განიხილოს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გამოყენება.

2.1 სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამაში შეიტანოს ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების შესახებ, აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

2.2 სასურველია, არჩევითი კურსის სახით შეთავაზებული იყოს საბაკალავრო ნაშრომი ან კვლევითი პროექტი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ-ს "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სწავლის შედეგების ფორმულირების უფრო მკაფიო დიფერენცირება, ორი პარალელური პროგრამის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზნების უფრო უნივერსალური ფორმულირების შემუშავება, იმისათვის, რომ გამარტივდეს მიზნების შიდა შედარების შესაძლებლობა. მაგალითად, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული სხვა პროგრამებთან შედარებით.

2.3 სასურველია, სასწავლო კურსებში სწავლების პრაქტიკული მეთოდების გაძლიერება.

3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა სტუდენტების სამეცნიერო აქტივობებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის წახალისების და ხელშეწყობის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ მეტ ინფორმირებულობას და ხელმისაწვდომობას, აკადემიური და პროფესიული განვითარების მიზნით.

5.2. პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, სასარგებლო იქნება მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასების განხორციელება.

ინდივიდუალური რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა ორი პარალელური პროგრამის არსებობიდან გამომდინარე განიხილოს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გამოყენება.

2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამაში შეიტანოს ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების შესახებ, აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

2.1. სასურველია, მობილობის პირობებს დაემატოს ინფორმაცია ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონის შესახებ, რომელიც უნდა დადასტურდეს უნივერსიტეტის შიდა გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით.

2.2 სასურველია, არჩევითი კურსის სახით შეთავაზებული იყოს საბაკალავრო ნაშრომი ან კვლევითი პროექტი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ-ს "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის

N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს სტუდენტებისგან თავიანთი შეფასების შესახებ უკუკავშირის მიღების სისტემა.
- რეკომენდებულია, ადამიანური რესურსების მართვის პროგრამაში ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა, იმისათვის, რომ შემცირდეს სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის არსებული თანაფარდობა, სამაგისტრო ნაშრომების უკეთ ხელმძღვანელობის და მხარდაჭერის მიზნით.
- რეკომენდებულია, სტუდენტების აკადემიური მოსწრების უფრო სიღრმისეულად შესწავლა. კერძოდ, ყურადღებით უნდა გაანალიზდეს კურსში ჩაჭრილი სტუდენტების მაღალი პროცენტული მაჩვენებლის გამომწვევი მიზეზები.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზნების უფრო უნივერსალური ფორმულირების შემუშავება, იმისათვის, რომ გამარტივდეს მიზნების შიდა შედარების შესაძლებლობა. მაგალითად, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული სხვა პროგრამებთან შედარებით.

2.3 სასურველია, სასწავლო კურსებში სწავლების პრაქტიკული მეთოდების გაძლიერება.

3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა სტუდენტების სამეცნიერო აქტივობებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის წახალისების და ხელშეწყობის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ მეტი ინფორმირებულობას და ხელმისაწვდომობას, აკადემიური და პროფესიული განვითარების მიზნით.

5.2. პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, სასარგებლო იქნება მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასების განხორციელება.

ინდივიდუალური რჩევები:

1.1. სასურველია, მიზნების ფორმულირებაში უფრო მკაფიოდ აისახოს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, ტენდენციები და საჭიროებები.

2.2 სასურველია, სასწავლო კურსების განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევით დავალებებს.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, კლასტერში შემავალი ყველა პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 3 დეკემბერს.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე.

მეორე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო, „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი

მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო, „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა თვითაცილება, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა სამივე საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტთა თავმჯდომარის პოზიცია წარმოედგინათ განსახილველი საკითხის ირგვლივ.

თარჯიმანმა ანი ლელაძემ წარმოადგინა სხდომაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიცია, რომელიც ვერ ესწრებოდა სხდომას. ექსპერტი თავის პოზიციაში აცხადებდა, რომ როგორც საბჭოსთვის ცნობილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის შესახებ, მოიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები შემდეგია:

კლასტერული რეკომენდაციები, რომელიც ეხება სწავლის შედეგების შეფასების გაუმჯობესებას. კერძოდ, რეკომენდირებულია თითოეული პროგრამის მახასიათებლებზე მორგებული სპეციფიური შეფასების მექანიზმების შემუშავება, ასევე სამიზნე ნიშნულების მკაფიო განსაზღვრა გადახრების განმარტება და შეფასებების პერიოდულობის დადგენა.

შემდეგი, თვითშეფასების ანგარიშის გაუმჯობესება, რეკომენდებულია ანგარიშის გასაუმჯობესებელი სფეროების და შესაბამისი აქტივობების ვადების წარმოდგენა.

აკადემიური პერსონალის მზაობის გაძლიერება. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალისთვის, განსაკუთრებით მათთვის, რომელთაც არ გააჩნიათ, სწავლების გამოცდილება სისტემატიურ რეჟიმში, განხორციელდეს მომზადების ტრენინგები.

ინდივიდუალური პროგრამების დონეზე რეკომენდაციების კუთხით გამოვლინდა შემდეგი საკითხები, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა (მენეჯმენტი), რეკომენდირებულია მენეჯმენტის საფუძვლები, განისაზღვროს ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის და ბიზნესის მდგრადი განვითარების კურსის წინაპირობად.

რეკომენდებულია პროექტების მართვა ამოღებულ იქნას, „სტრატეგიული მენეჯმენტის“ წინაპირობიდან. რეკომენდებულია „სტრატეგიული მენეჯმენტი“ განისაზღვროს ბიზნეს პროექტის წინაპირობად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ფინანსები) - რეკომენდებულია კურსების წინაპირობების გადახედვა, მაგალითად ფინანსური ანგარიშგება განისაზღვროს აუდიტის წინაპირობად. ასევე, გადაიხედოს რთული კურსების, როგორიც არის „ფინანსური აღრიცხვა 1“

და „ფინანსური აღრიცხვა 2“ კრედიტების განაწილება. „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო პროგრამა, მენეჯმენტის საფუძვლები რეკომენდებულია განისაზღვროს ბიზნეს ეტიკეტის და პროტოკოლის წინაპირობად.

ასევე, რეკომენდირებულია „ციფრული მარკეტინგი და მომხმარებელთა ქცევა“ განისაზღვროს სოციალური მედია მარკეტინგის წინაპირობად და შესაბამისად გადანაწილდეს. რეკომენდირებულია „შესავალი ფინანსებში“ ან „ფინანსური აღრიცხვა“ გახდეს ფინანსური მართვის წინაპირობა.

„ბიზნესის ადმინისტრირება ადმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო პროგრამა - პროგრამა კარგად შეესაბამება მიზნებსა და ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნებს, შესაბამისად არ გაცემულა კონკრეტული რეკომენდაციები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

„ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამა, რეკომენდირებულია წინაპირობების თანამიმდევრულობის უზრუნველყოფა და კვლევით კომპონენტებზე დაშვების მოთხოვნის დაზუსტება.

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამებს:

"ბიზნესის ადმინისტრირება" - რეკომენდირებულია უმაღლესი დონის კვლევებზე ორიენტაციით საერთაშორისო სტანდარტებთან მკაცრი შესაბამისობის შენარჩუნება.

„ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ - რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერდისციპლინური კვლევითი ჩარჩოები და საჯარო სექტორში გამოყენება. აღნიშნულ გასაუმჯობესებელ სფეროებთან ერთად გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამებში ხელოვნური ინტელექტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინება. პროფესიულ სერტიფიკატებთან შესაბამისობა, ორიენტაცია მდგრადობაზე ინტერნაციონალიზაციაზე და უკუკავშირზე რეაგირება. სტუდენტების მობილობის და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ძლიერი მხარდაჭერა.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის საერთო შეფასებით პროგრამები მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს და გამოვლენილია შემდეგი გასაუმჯობესებელი სფეროები: კერძოდ, სასწავლო კურსების წინაპირობები და თანამიმდევრულობა, რთული საგნებისთვის კრედიტების განაწილება, პროგრამებთან დაკავშირებული სპეციფიკური სწავლის შედეგების შეფასება. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს ლოგიკურ პროგრესიას, აკადემიურ სიმკაცრეს და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობით უზრუნველყოფას. რაც მხარს უჭერს უნივერსიტეტის მისიას უზრუნველყოს ბიზნესის და მაღალი ტექნოლოგიების ინტეგრაცია, განაცხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ენუქიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო კოლეგიალური, კონსტრუქციული თანამშრომლობითი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურება და მოხარულია რომ წარმოდგენილი შვიდი პროგრამიდან, მხოლოდ სამი პროგრამის შემთხვევაში, ერთ სტანდარტი შეფასებულია, როგორც „მეტწილი შესაბამისობა“ ყველა სხვა შემთხვევაში დადასტურებულია, სტანდარტების მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა. ასევე აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის, უმეტეს ნაწილს ეთანხმება დაწესებულება, გაცემულ იქნა ათი რეკომენდაცია. ასევე მოხარულია დაწესებულების წარმომადგენელი რომ რვა საუკეთესო პრაქტიკა დასახელდა. პირველი საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს პროგრამების წარმატებულ ინტეგრაციას უმაღლესი განათლების, კვლევის ტექნოლოგიების და ბიზნესის მიმართულებით. მეორე საუკეთესო პრაქტიკად დასახელდა, სტუდენტთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი და სტუდენტთა უკუკავშირზე რეაგირება და უწყვეტი პროფესიული განვითარება და ძლიერი მხარდაჭერის ღონისძიებები აღნიშნული მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ გვიანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები არ ეხებოდა პროგრამის მიზნებს, სტრუქტურასა და შედეგებს, ეხებოდა მხოლოდ რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში წინაპირობების დაზუსტებას. ერთ შემთხვევაში იყო რამდენიმე სასწავლო კურსისათვის, წინაპირობისთვის სხვა სასწავლო კურსის დამატება და ერთ შემთხვევაში იყო პირიქით, წინაპირობიდან რამდენიმე სასწავლო კურსის ამოღება. გაცემულ იქნა ორი რეკომენდაცია, რომელსაც არსიდან გამომდინარე იზიარებს დაწესებულება, თუმცა არ იზიარებს ფორმულირებას, განაცხადა მან, მაგალითად, რეკომენდაცია რომელიც გაცემულია "ბიზნესის ადმინისტრირების" (მენეჯმენტი) და "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" პროგრამებისთვის, იგი ეხება „ფინანსური აღრიცხვა 1” და „ფინანსური აღრიცხვა 2” მიკრო და მაკრო ეკონომიკის კრედიტების გაზრდას, რაც თავისთავად დაწესებულებამ გაიარა და ეთანხმება, მაგრამ არ ეთანხმება კრედიტების გაზრდას საკონტაქტო საათების ხარჯზე, მოგეხსენებათ, დამოუკიდებელი მუშაობის საათები არის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი პროგრამის შედეგების მიღწევისათვის, სწორედ ამ დროს რეალიზდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპი, როდესაც სტუდენტი სწავლობს, ლექტორი ეხმარება, ამასთან, ასევე არსებობს ზოგადი რეკომენდაცია რომ დამოუკიდებელი საათების ოდენობა სასურველია რომ არ იყოს 2/3 ნაკლები. ასევე შესწავლილ იქნა უცხოეთის პარტნიორი უსდ-ების პროგრამები, სადაც სწორად ასეთი თანაფარდობაა დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების. ასევე შესწავლილი იყო საქართველოს უსდ-ების პროგრამები სადაც არ არის ასე ცალსახად, იგი დამოკიდებულია კურსის ორგანიზებაზე და ცოდნის გადაცემის ფორმატზე, განაცხადა მან.

გამომდინარე აქედან, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება კრედიტის მოცულობის გაზრდას, ოღონდ დამოუკიდებელი მუშაობის გაზრდის ხარჯზე და არ ეთანხმებიან საკონტაქტო საათების გაზრდას, ვინაიდან შედეგზე ორიენტირებული კურსი, უნდა ითვალისწინებდეს იმ დამოუკიდებელ საათებს, სტუდენტთა აქტივობას რომლითაც სტუდენტი დაადასტურებს შედეგის მიღწევას. შემდეგი რეკომენდაცია ეხება სწავლის შეფასების მექანიზმებს და ინსტრუმენტებს, დაწესებულებაში გაწერილია მექანიზმები და ინსტრუმენტები, ასევე მათი გამოყენების პერიოდულობას. ყველა სასწავლო კურსს ერთვის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელშიც განსაზღვრულია მიზნების და შედეგების ურთიერთ შესაბამისობა. შედეგის მიღწევაში მონაწილე კურსები მათი როლი და სტატუსი, ის შეფასების მეთოდები რომლებიც არის გამოყენებული შედეგის დადასტურებისთვის. ყველა ამგვარ რუკაში მითითებულია თუ რა პერიოდულობით ხდება შეფასება, პერიოდულობა არის წელიწადში ერთხელ იმიტომ, რომ საინტერსოა მოცემულობა რომელიც შეიძლება მომდევნო აკადემიური წლის შედეგის გაუმჯობესებისთვის იყოს გამოყენებული, სასწავლო კურსის შემთხვევაში შეფასებას ხდება მისი დასრულებისთანავე, თუმცა ასევე დაწესებულება ითვალისწინებს, რომ სტუდენტმა რომელმაც ვერ მიიღო მინიმალური დადებითი შეფასება, იგივე სასწავლო კურსი გაიაროს განმეორებით. შესაბამისად, თუკი საგანი არის შემოდგომის სემესტრის, სურვილის შემთხვევაში, მიეცეთ სტუდენტებს შესაძლებლობა, იგი გაიარონ გაზაფხულის სემესტრში. აქედან გამომდინარე დაწესებულების მიერ შეჯამება ხდება მთელი წლის შედეგების, განაცხადა დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ გვიანიშვილმა. მან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს არის მექანიზმი რომელი მოქმედებს 2019 წლიდან, ამ პერიოდიდან არაერთი შემოწმება გაიარა, რეაკრედიტაციის, შესაბამისობის დადგენის და ავტორიზაციის პროცესი და ა.შ. მის ადეკვატურობასთან და შესაბამისობასთან დაკავშირებით კითხვები არ ყოფილა, პირიქით სხვადასხვა წარმოების პროცესში დადებითად იქნა შეფასებული.

გამოთქვა დაწესებულების წარმომადგენელმა მზადყოფნა, რომ გათვალისწინებულ იქნას რეკომენდაცია შემდეგნაირად, ვინაიდან წარმოდგენილი კლასტერული სახით დანახულ იქნას

პროგრამის სპეციფიკა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ნაწილში, მაგრამ არა სხვა მექანიზმების პერიოდულობის დადგენის, როგორც ეს რეკომენდაციაში იქნა განსაზღვრული, ამის შესახებ ინფორმაცია არის და მიეწოდათ ექსპერტებს.

ასევე განმარტა, რომ თუ კი იყო საჭირო დამატებითი განმარტება, ამ განმარტებასაც მიაწვდიდა დაწესებულება მათ, მოთხოვნის შემთხვევაში. გამომდინარე აქედან, განაცხადა, რომ მზად არის დაწესებულება გაითვალისწინოს რეკომენდაცია პროგრამების სირთულეების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, აღნიშნული პროგრამებისათვის სამიზნე ნიშნულების რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილებების ნაწილში და არ სხვა მექანიზმის ნაწილში, რადგანაც აღნიშნულის რელევანტურობა დადასტურებულია როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და ისე სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, შესაბამისად საბჭოს მიმართ აქვს თხოვნა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ იმსჯელოს საბჭომ ამ საკითხზე. ასევე აღნიშნა, რომ არსებობს ორი რეკომენდაცია რომელიც არ გაიზიარა დაწესებულებამ, ვინაიდან ერთი რეკომენდაცია ეხებოდა „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, პირველად დასკვნის პროექტში რეკომენდაცია იყო მითითებული „სტატისტიკა ბიზნესისთვის“ განისაზღვროს ფინანსური რესურსების მართვის სასწავლო კურსის წინაპირობად, რასაც არ დაეთანხმა აღნიშნული პროგრამის გუნდი, შესაბამისად, ეს ყოველივე აღნიშნული იყო არგუმენტირებულ პასუხში, და შემდგომ ექსპერტებმა, თუმცა არ ყოფილა დასაბუთება, აღნიშნეს შემდეგი, ჯგუფმა გადახედა დასკვნის პროექტსა და რეკომენდაციას საკუთრივ პოზიციის უფრო ნათლად წარმოსაჩენად.

უფრო ნათლად წარმოაჩენა ჩამოყალიბდა ახალი სასწავლო კურსების „შესავალი ფინანსებში“ ან „ციფრული აღრიცხვა“ დამატების გზით. შესაბამისად დაწესებულებას ზოგადად არ მიაჩნია სწორად, ყველანაირი დასაბუთების გარეშე, მოხდეს დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ, უკვე საბოლოო დასკვნაში არსებითი ცვლილებების შეტანა, აღნიშნა რომ ამგვარი ცვლილება ანგრევს ფაქტიურად პროგრამის სტრუქტურას, ვინაიდან, "შესავალი ფინანსებში" და "ფინანსური აღრიცხვა" განსხვავებული მოცემულობაა ბიზნესისთვის, რაც დასკვნის პროექტში იყო მოცემული. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, არ არის რელევანტური ექსპერტების პოზიცია და ამ რეკომენდაციას არ ითვალისწინებს დაწესებულება განაცხადა თამარ გვიანიშვილმა. კიდევ ერთი რეკომენდაცია, არის რომელსაც არ ეთანხმება დაწესებულება, აქვე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გარდა იმისა, რომ უნდა ემსახუროდეს პროგრამის მიზნების გაუმჯობესებას, ასევე უნდა იყოს შესრულებადი, დაწესებულებას უნდა ხელეწიფებოდეს მოახდინოს რეკომენდაციების იმპლემენტაცია. ამ შემთხვევაში ეს ეხება კლასტერულ რეკომენდაცია ნომერ ორს, კერძოდ რეკომენდირებულია გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიში აღწევდეს გასაუმჯობესებელ მხარეებსა და მათ გასაუმჯობესებლად დადგენილ აქტივობებსა და ვადებს. პირველ რიგში საგულისხმოა, აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ 2018 წლიდან თითქმის ყოველწლიურად ხორციელდებოდა გარე შეფასებები, სხვადასხვა მიზნებისათვის, შესაბამისად წარმოდგენილმა პროგრამებმა ამ პერიოდის განმავლობაში არაერთი გარე შეფასება გაიარა, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, როგორც დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ეს არის უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლები, რომლებმაც კარგად იციან ევროპის საუკეთესო პრაქტიკები და მათთან შესაბამისობა. გამომდინარე იქედან რომ დაწესებულების შეფასების სისტემა გულისხმობს წლის განმავლობაში რვა შიდა შეფასებას, საიდანაც ექვსი ითვალისწინებს პროგრამების შეფასებას, კერძოდ ისეთი როგორიც არის ინსტიტუციური შეფასება, რისკების შეფასება, პროგრამების კომპლექსური შეფასება, შემაჯამებელი შეფასება და ა.შ. ყველა ეს დოკუმენტი იყო წარდგენილი და ნაჩვენები რომ ყველა ეს შიდა შეფასება იყო კომპლექსური. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების შიდა შეფასება საუკეთესო პრაქტიკად იყო აღიარებული 2022 წელს ექსპერტების მიერ. მეორე გარემოება არის თავად 5.1. სტანდარტის მოთხოვნა, თვითშეფასების ანგარიში, რომელიც არის მოხსენიებული მხოლოდ ორჯერ, ერთი არის, შიდა ხარისხის სამსახური პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე და მეორე ეს არის შეფასების ინდიკატორები და მტკიცებულებები,

თვითშეფასების ანგარიშში მუშაობის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეები დაგეგმილი აქტივობები. მან აღნიშნა, რომ მათ შემთხვევაში ფიზიკურად არ მოიძებნა, გასაუმჯობესებელი მხარეები, რადგან ყველაფერი შესრულდა შეფასების ანგარიშის და მის წინა ეტაპზე. თუმცა, სტანდარტის ბოლოში, გასაუმჯობესებელი მხარეების რუბრიკაში, დაწესებულება აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე არ გამოიკვეთა. ასევე საგულისხმოა, რომ შვიდი წარმოდგენილი პროგრამიდან ოთხი იყო ახალი პროგრამა, ერთმა პროგრამამ ახლახან გაიარა შესაბამისობა, ხოლო ერთ პროგრამაზე 2023 წელს დამთავრდა ანგარიშის განხილვის წარმოება. შესაბამისად კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ შვიდი პროგრამიდან ექვს პროგრამაზე ვერანაირად ვერ შეგროვდებოდა გასაუმჯობესებელი მხარეები, ვინაიდან პროგრამების ერთი ციკლი არ იყო დასრულებული, რიგ შემთხვევაში პროგრამების განხორციელებაც არ იყო დასრულებული. მიუხედავად ამისა, რომ ამ ეტაპზე არ იკვეთება გასაუმჯობესებელი მხარეები, მიმდინარე პროგრამებზე დაკვირვება, სტუდენტების, ლექტორების უსდ-ების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის და ა.შ. რიგი პროცესების შემდგომ, პროგრამების გამოყენების პერიოდში, იქნება გამოყენებული ყველაფერი ერთიანობაში, აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა.

კიდევ ერთი საკითხი, ექსპერტებთან ჰქონდა რიტორიკული კითხვა დაწესებულების წარმომადგენელს, მან აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიში კანონმდებლობის შესაბამისად, ივსება პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, შესაბამისად როგორ უნდა შესრულებულიყო ეს რეკომენდაცია ან რას მოიაზრებენ ექსპერტები - „გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს“ - აღნიშნული ჩანაწერის გაკეთებისას, შესაბამისად აინტერესებდა მას, როდის მომზადებული ანგარიშები უნდა აღწერდეს ამ ყოველივეს, რადგან თუ პროგრამებს მიენიჭა აკრედიტაცია, ეს პროცესი იწყება შვიდი წლის შემდეგ, უახლოესი ექვსი წლის განმავლობაში არ ითვალისწინებს თვითშეფასების ანგარიშების წარდგენას კანონმდებლობა, ითვალისწინებს მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების ანგარიშების წარდგენას, მაგრამ არა თვითშეფასების ანგარიშის. შესაბამისად, თამარ გვიანიშვილი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია არის დაუსაბუთებელი, და არა შესრულებადი. ასევე აღნიშნა, რომ შეასრულებდნენ რეკომენდაციას, რომ ყოფილიყო დასაბუთებული და მისი შესრულების შესაძლებლობა რეალური. შესაძლებელია, რომ არგუმენტირებულ პასუხში ნაკლებად მკაფიოდ იყო გამოხატული დაწესებულების პოზიცია, და ამის გამო ექსპერტებმა არ გაიზიარეს დაწესებულების პოზიცია, შესაბამისად ექსპერტებისათვისაც ვრცელი ზეპირი განმარტება გაკეთდა დაწესებულების მიერ. გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან დაწესებულების წარმომადგენელს ექპერტებისაგან აინტერესებდა როგორ მიიჩნევენ, როგორ შეიძლება შესრულებულიყო ეს რეკომენდაცია.

ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას სადაც მკაფიოდ იყო ის პოზიცია ასახული, რაც ასევე გაჟღერდა ზეპირსიტყვიერადაც დაწესებულების წარმომადგენლის მიერ. რეკომენდაცია რომ თვითშეფასების ანგარიში უნდა მიუთითებდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს და მათი დამლევის კონკრეტულ ღონისძიებებზე, ამასთან დაკავშირებით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდა განხილვა, არგუმენტირებული პოზიციის განხილვისას, საბოლოოდ უცხოელი ექსპერტის თავმჯდომარის მტკიცე პოზიცია იყო, რომ ეს რეკომენდაცია უნდა დარჩენილიყო. კონკრეტულ რეკომენდაცია რა თქმა უნდა არ ეხება წარსულში უკვე დაწერილ დოკუმენტს არამედ ექსპერტების პოზიცია იყო რომ რეკომენდაციაში იგულისხმება სამომავლოდ, როდესაც დაწესებულება მოახდინებს თვითშეფასების ანგარიშის წარდგენას და იყოს ხაზგასმად, როგორც დოკუმენტებში, ასევე პროცესში უფრო მეტად თვითკრიტიკული იყოს თავის საქმიანობის სფეროში და დაფიქსიროს გასაუმჯობესებელი მხარეები. დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ გვიანიშვილმა დაამატა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უცხოელი ექსპერტის მოსაზრება მაგრამ, უცხოელი ექსპერტი გარკვეულწილად ხელმძღვანელობს იმ სტანდარტით რაც დაწესებულია მის ქვეყანაში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ტექნიკურად შეუძლებელია არსებულ რეალობაში, რადგან ერთ წელიწადში როდესაც იქნება გამოსაგზავნი დაწესებულების

მიერ რეკომენდაციების შესრულების ანგარიში იქ მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ტექნიკურად ვერ მოხდება ჩაწერა და მითითება ექვსი წლის შემდგომ წარსადგენი ანგარიშის თაობაზე. ასევე, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიში იწერება კანონმდებლობის მიხედვით, აკრედიტაციის ან ავტორიზაციისათვის ყველა სხვა შემთხვევაში იწერება რეკომენდაციის შესრულების ანგარიში.

ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ საუბარი იყო ზოგადად მიდგომაზე, რომ დაწესებულება ცოტა უფრო მეტად კრიტიკულად უყურებდეს გარკვეულ საკითხებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ წლების მიხედვით თვითშეფასების ანგარიშები არის ხელმისაწვდომი და იქ ყველა ჯერზე მითითება არის გაკეთებული სწორედ გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ მას სურს ორ პროგრამასთან მიმართებით გაამახვილოს ყურადღება, ერთი ეს არის სამოც კრედიტიანი აღმასრულებელი ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა, მან აღნიშნა რომ მისთვის ეს პროგრამა არის ადებული 120 კრედიტიანიდან, გადმოტანილია რაღაც ნაწილი, ამ მიდგომის მოწინააღმდეგე არ არის, შესაძლებელია ძველი პროგრამის ხელმძღვანელობით შეიქმნას ახალი პროგრამა, მით უფრო იმ პირობებში რომ ჯერ არ არის სტანდარტი. მას აინტერესებდა სტრატეგიული მართვის სილაბუსთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ბევრის საკითხი, იგივეა რაც ბაკალავრიატის, მისია, ხედვა, სტრატეგიის მიზნები. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ კუთხით მიექცეს ყურადღება და გასწორდეს. ასევე, ლიტერატურასთან დაკავშირებით, ასევეა მოცემულობა, რომ ის სახელმძღვანელო, რასაც ბაკალავრიატის დონეზე გამოიყენება ასევე არის მოცემულ პროგრამასთან მიმართებაშიც გამოყენებადი. გამომდინარე აქედან თუ კი იქნება შესაძლებლობა შესწორების მოცემული ხარვეზისა მხოლოდ გააუმჯობესებს პროგრამას, აღნიშნა საბჭოს წევრმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია ნონიაშვილმა გამოხატა პატივისცემა საბჭოს წევრებისა და სხდომაზე დამსწრე პირების მიმართ, ასევე აღნიშნა რომ 120 კრედიტიანმა სამაგისტრო პროგრამამ 2023 წელს გაიარა სრული შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. შესაბამისად გარე შეფასების მქონე პროგრამიდან ყოფილიყო ადებული ის დიდი წილი რომლიდანაც გამოვიდოდა 60 კრედიტიანი პროგრამა, გამართლებულად მიიჩნია. რაც შეეხება სტრატეგიულ მენეჯმენტს, სტრატეგიული ბიზნეს პროექტი არის არჩევითად მოცემული პროგრამაში შესაბამისად სტრატეგიული მენეჯმენტის საგანი გაკეთდა ისე, რომ თავმოყრილიყო ყველა ცოდნა, რომელსაც იღებს სტუდენტი ყველა იმ საგნიდან, რომელიც არის სწორედ აღნიშნულის წინაპირობა.

რაც შეეხება ბაკალავრიატის საკითხებს, "სტრატეგიული მენეჯმენტის" საგნის შემთხვევაში ეს უფრო სიღრმისეულია, შესაბამისად ლიტერატურაც არის ის რომელიც მაგისტრანტს, თავისი სიღრმისეული გამოცდილებით, მისცეს ის თეორიული სიღრმისეული ცოდნა, რომელიც მას დაეხმარება მთელი პროგრამის განმავლობაში გავლილი ცოდნა, რომელსაც მიიღებს, შეაჯამოს და სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და მართვისთვის გამოიყენოს.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ ასევე აღნიშნა, რომ მეორე საკითხი, რაზეც სურდა ყურადღების გამახვილება, ეხებოდა სადოქტორო პროგრამას, ყურადღება მიიქცია ორმა სახელმძღვანელომ, განაცხადა მან ერთ ეს არის „Dynamics of leadership” და „Manage against the public sector” ერთი არის 2011 და მეორე 2016 წლის, აქვე აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა რომელიც ორიენტირებულია უახლესი ცოდნის შექმნაზე, შესაბამისად უმჯობესი იქნება თუ ლიტერატურის საკითხი იქნებოდა გადახედილი. აქვე აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელს თამარ გვიანიშვილს, მაშინ როდესაც ის აღნიშნავს, რომ გარე

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაცია, იმ ფორმულირებით რაც არის წარმოდგენილი, ვერ შესრულდება და უმჯობესი იქნება თუ იგი იქნება არა რეკომენდაცია არამედ რჩევა, განაცხადა საბჭოს წევრმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზვიად გაბისონიამ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამა მოითხოვს ძალიან სწრაფად განახლებად ლიტერატურას, ეს მხოლოდ ბიზნესის მიმართულებით არ არის არამედ ციფრული მართველობის მიმართულებითაც ასეა, ვცდილობთ რომ ყოველწლიურად იქნეს გაუმჯობესებული, შესაბამისად მიღებულ რჩევას სრულად იზიარებენ რომ განახლდეს ლიტერატურა, მით უფრო მენეჯმენტის ნაწილში.

საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს რამდენიმე შეკითხვა და რამდენიმე კომენტარი ჰქონდა, მან აღნიშნა რომ დასკვნაში საუბარი იყო მიკრო და მაკრო ეკონომიკის მიმართულებით კრედიტების გაზრდასთან დაკავშირებით, სამიდან ზემოთ, აქ ცხადია უნდა მოხდეს ექსპერტებთან დათანხმება, კერძოდ რა მასალის მოცულობაც არის მითითებული კონკრეტულ საგნებზე, წარმოდგენილი კრედიტის ფარგლებში ცოტა რთული იქნება ჩატევა, მიუხედავად სხვადასხვა ვარიაციებისა. ას დაწესებულებასთან ჰქონდა დამაზუსტებელი შეკითხვა, საბჭოს წევრს აინტერესებდა რომ დაწესებულება აპირებდა იყო თუ არა რომ გაზრდილიყო კრედიტების რაოდენობა მხოლოდ დამოუკიდებელი საათების ხარჯზე, რაზედაც დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი.

აქვე ვასილ კიკუტაძემ დაამატა, რომ დამოუკიდებელი კრედიტების გაზრდის ხარჯზე კრედიტების რაოდენობის გაზრდას არ ექნებოდა ზარი თუ არ შეიცვლებოდა შეფასების სისტემა და ის მიდგომა, რაც გამოყენებული იყო კურსში. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ იქნება გადახდილი ის საქმიანობა, რომელსაც სტუდენტი შეასრულებს დამოუკიდებელ საათებში და ეს იქნებოდა გამოყენებული შეფასების სისტემასთან თანხვედრაში, შესაბამისად შეიცვლებოდა სილაბუსი კომპლექსურად.

კიდევ ერთი შეკითხვა ჰქონდა საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი იყო სადოქტორო სემინარი, აღნიშნა, რომ ეს ემსახურებოდა დოქტორანტის კვლევით უნარების დამოუკიდებლად განვითარებას და ისწავლება გარკვეული მიმართულების დისციპლინები და შემდგომ უნდა განხორციელდეს მისი გამოყენება სემინარის ფარგლებში, სანამ დოქტორანტი გადავა კონკრეტულად სადოქტორო ნაშრომის შესრულებაზე და წარმოდგენაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არ არის სადოქტორო სემინარის სილაბუსი, გასაგებია რომ ქულა არ იწერება და ისე გადადის შემდგომ ეტაპზე დოქტორანტი, შესაბამისად მას აინტერესებდა, ეს რამდენად აბალანსებდა იმ საკითხს, რომ დამოუკიდებლად დაიტესტოს დაწესებულების მიერ დოქტორანტის უნარები, რამდენად საკმარისია, თუნდაც ის მცირე კვლევითი პროექტები რომლებიც წარმოდგენილია სასწავლო კურსებში იმ მიზნებისთვის რომ მაღალ დონეზე შესრულდეს სადოქტორო ნაშრომი.

ასევე, კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა აღნიშნული პროგრამის ირგვლივ საბჭოს წევრს, კერძოდ მას აინტერესებდა სადოქტორო სემინარში განხორციელებული კვლევა, ნაწილი იყო სადოქტორო დისერტაციისა თუ განსხვავებულ თემაზე ტარდება ეს კონკრეტული კვლევა. ასევე, მესამე საკითხი, ჰქონდა დამაზუსტებლად საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა, "მენეჯმენტი და ლიდერობა" არის არჩევითი სასწავლო კურსი, ფაქტობრივად არ ჩანდა მენეჯმენტის მიმართულებით სწავლება, საგულისხმოა რომ ბიზნეს ადმინისტრირება არის სამი კომპონენტის გარკვეული კონცეპტუალური ერთიანობა, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების. შესაბამისად, პროგრამაში მენეჯმენტი არ ჩანს მკაფიოდ, მთელი აქცენტი გაკეთებულია პედაგოგიკის და აკადემიური საქმიანობის გაგრძელებაზე, თუმცა ეს მაინცდამაინც არ არის ამომავალი წერტილი დოქტორანტურისა, რადგან პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლებელია ბიზნესში წავიდეს და ამ მიმართულებით გამოიყენოს თავისი ცოდნა, აღნიშნა მან, შესაბამისად, მას აინტერესებდა, მენეჯმენტის ნაწილი რატომ იყო გადატანილი არჩევით ნაწილში და რითი ბალანსდებოდა ეს მოცემულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ მეორე სადოქტორო პროგრამა, რომელიც იყო წარმოდგენილი „ციფრული მარკეტინგი და ხელოვნური ინტელექტი“, იქ იყო რეკომენდაცია სწორედ ამ სემინარის დაკონკრეტების თაობაზე. "ბიზნესის ადმინისტრირების" პროგრამაში გადმოტანილია ის მოდელი, რომელიც იყო რეკომენდებული და შემდეგომ, ეს რეკომენდაცია იყო ჩათვლილი მეორე პროგრამის მიზნებისთვის. ასევე აღნიშნა, რომ სამეცნიერო სემინარი არ ფასდება კრედიტებად მისი მიზანი არის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ნაწილი, როდესაც დოქტორანტი იწყებს კვლევას, წარუდგენს დარგობრივ კომისიას, მისი მიზანია დოქტორატმა წარმოადგინოს თავისი კვლევის მეთოდოლოგია და ა.შ. მიიღოს გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომელსაც ითვალისწინებენ სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და შემდგომ გადადიან სხვა ეტაპზე. შესაბამისად, ეს არის ხელშემწყობი ეტაპი, ამ სამეცნიერო, კვლევითი კომპონენტისა რომელიც არ ფასდება, მისი აღწერილობა არის დოქტორანტურის დებულებაში და იქ არის მკაფიოდ გაწერილი, რა მოაზრება, ვინ ესწრება და იქვე არის შეფასების ფორმა არა ქულობრივი, არამედ განმავითარებელი შეფასების ფორმა, რომელიც წარმოდგენილი იყო დოკუმენტებში და შესაძლებელი იყო ამ ყოველივეს ნახვა, მოცემული მოდელი გადმოღებულია სხვა სადოქტორო პროგრამიდან, რომლის გარე შეფასება დამთავრდა 2023 წელს, განაცხადა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭოს წევრმა ვასილ კიკუტაძემ დააზუსტა, რომ არსებობს პროგრამაში სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი და სადოქტორო სემინარი, შესაბამისად მას აინტერესებდა, რას ემსახურებოდა ორივეს არსებობა პროგრამაში თუ კი შინაარსობრივად მსგავსი იყო ერთმანეთისა.

თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ხდება დოქტორანტის საქმიანობაზე დაკვირვება, მის პროგრესზე, მის საჭიროებების დადგენაზე, რეკომენდაციები თუ რჩევების მიცემა მისი შედეგის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს წევრ ციური დურული მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მას კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, კლასტერის რეკომენდაციასთან, კერძოდ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები როდესაც მოითხოვდნენ რომ ყოფილიყო დაკონკრეტებული მექანიზმები თითოეული დარგისა და საფეხურის პროგრამისათვის. რადგანაც, აღნიშნა რომ საგულისხმოა მოცემულობა, რომ მექანიზმი არის ზოგადი განმსაზღვრელი ამა თუ იმ დარგში კონკრეტული პროცესისა და მექანიზმი სწავლის შედეგების შეფასების მიღწევა ხორციელდება ერთიანი მექანიზმის საფუძველზე ინსტიტუციებში, რომელიც შემდეგომ ერგება ყოველივე პროგრამა.

ექსპერტმა თამთა ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და მეთოდოლოგია არის ზოგადი, თუმცა შემდგომ კონკრეტდება პროგრამის სტანდარტის შესაბამისად, შინაარსის და სპეციფიკის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იყო საუბარი, წარმოდგენილ სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, რომელიც ბევრი დისკუსიის შედეგად, ასევე დაწესებულების წარმომადგენლების განხილვაში ჩართულობის შემდეგ, საბოლოოდ ვერ დაზუსტდა თუ რა პრინციპზე იყო დამყარებული, სწორედ ამიტომ ექსპერტებმა რეკომენდაციებში დატოვა დისკუსიების შედეგადაც, ინტერვიუების საფუძველზე. შეთანხმდნენ ექსპერტები, რომ არსებული მექანიზმი საკმაოდ კომპლექსური იყო, თუმცა შედეგის და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელი იყო, რომ იგი ასევე ქმედითი იყოს და დაკონკრეტებული სწავლების სხვადასხვა დონეების, პროგრამების და სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია პროგრამებთან მიმართებით მიდგომები იყოს სპეციფიური და ითვალისწინებდეს კონკრეტული პროგრამის შინაარსს და ა.შ.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მიესალმება წარმოდგენილ პროგრამებს, სადაც ხედავს მნიშვნელოვან ცოდნის შემაჯავებელ მცდელობებს. მან აღნიშნა, რომ ექნებოდა ტექნიკური ხასიათის კითხვები, მოწოდებული ინფორმაციის დასაზუსტებლად. პირველი ეს გახლავთ საფინანსო საბაკლავრო პროგრამაში არის ყურადღება გამახვილებული ზოგიერთი სასწავლო კურსების სამ კრედიტიან შეფასებაზე და ასევე, საბჭოს სხდომაზეც აღინიშნა, რომ გაზრდას ემხრობა დაწესებულებაც

ექვს კრედიტამდე. დატვირთვის მოცულობის შესაბამისი ოდენობით ასახვას აპირებს დაწესებულება, ამ შემთხვევაში შეკითხვები ჰქონდა ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე აღნიშნა, რომ მოცმული სასწავლო კურსი გაყოფილი იყო ორ ნაწილად, თითოეული არის სამ კრედიტიანი, გამომდინარე აქედან როგორ მიიჩნევდა დაწესებულება, ასევე არსებული რეკომენდაციიდან გამომდინარე, აპირებენ თითოეულის ექვს კრედიტად გადაკეთებას შესაბამისი საჭირო დატვირთვის ცვლილებებით, თუ ორად გაყოფილი ფინანსური აღრიცხვის კურსის შეერთებას და ერთ სასწავლო ექვსკრედიტიან სასწავლო კურსად წარმოდგენას, როგორც არის მაგალითად მენეჯერულ აღრიცხვაში განაცხადა საბჭოს წევრმა. დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის ხელმძღვანელმა ვახტანგ ჩქარეულმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება ფინანსურ აღრიცხვას მანამდე იყო ერთ სემესტრად, ექვს კრედიტიანი საგანი, რომელიც მათი პრაქტიკიდან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე და იმ კვლევებიდან გამომდინარე, რომელიც პროგრამის შემუშავების დრო ჩატარდა, ვნახეთ რომ რთულია საგნის ამ მოცულობის მასალის ერთ სემესტრში დაძლევა და სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მისი გაყოფის თაობაზე, რადგან ფინანსების პროგრამაზე ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური აღრიცხვა, რომელიც საფუძველია შემდგომი სასწავლო კურსებისა, იყო საკმაოდ კარგად და სიღრმისეულად გაგებული, ამიტომ გაიყო ორ სემესტრად, განაცხადა მან, ასევე აღნიშნა, რომ რაც შეეხება კრედიტების მომატებას, რაც დასაწყისშივე აღინიშნა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ, ასევე ფინანსების ნაწილშიც გადაიხედა კრედიტები მათ მიერაც და დამოუკიდებელი სამუშაო საათების გაზრდის ხარჯზე გაიზრდება კრედიტები, სამიდან ექვსამდე, ასევე გადაიხედება მათი შეფასების კომპონენტები, როგორც ამას მოითხოვს სტანდარტი და განახლებული სილაბუსით წარდგენა შეფასების ნაწილში, ხოლო შინაარსობრივი ნაწილი დარჩება სწორედ ისე, როგორც არის სილაბუსში მითითებული, დააზუსტა პროგრამის ხელმძღვანელმა დაწესებულების პოზიცია. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა, იგივე საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ კი გაერთიანდება ექვს კრედიტად ფინანსური აღრიცხვისათვის კრედიტების რაოდენობა სრულიად მისაღები იქნება, მაგრამ დაწესებულების პოზიცია რომ გაყოს და ისე ასწავლოს, ეს გაცილებით უფრო მისაღებია, რადგან მეტი შესაძლებლობა აქვს სტუდენტებს, რადგან შესაძლებელია პირველ სემესტრში ისწავლებოდეს შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, რადგან აღრიცხვა არის ბიზნესის ენა და ყველაზე დიდი ყურადღება მას უნდა დაეთმოს, აღნიშნა მან. შესაბამისად, მას აინტერესებდა რატომ შეიცვალა ეს მიდგომა და რატომ მოისურვეს კრედიტების გაზრდა, ამ შემთხვევაში გამოდის რომ სასწავლო კურსმა უნდა წაიღოს 12 კრედიტი. დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ჩქარეულმა აღნიშნა, რომ კრედიტების გაზრდი ძირითადი არგუმენტი იყო ის მოცულობა და ის სამუშაო რომელიც გასაწევი იყო სტუდენტების მხრიდან. სწორედ, ამ ნაწილში იქნა მიღებული რეკომენდაცია ექსპერტების მხრიდან, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მხრიდან და საკმაოდ სამართლიანად და დასაბუთებულად იქნა მიჩნეული ეს პოზიცია. დაწესებულების გამოცდილებით რომელიც აქვს სტუდენტებთან მიმართებით, დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლის პროცესი იყოს ნაყოფიერი და ცოდნის გადაცემაზე ორიენტირებული, ერთ სემესტრში იმ რაოდენობის მასალის სიღრმისეულად შესწავლა, რაც საჭიროა წარმოდგენილი კურსებისათვის, ფინანსების სტუდენტებისათვის მიაჩნიათ გაუმართლებლად და შეუძლებლად.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძეს კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან ფინანსების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, აღნიშნა მან, რომ კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში და არა ფინანსების ბაკალავრი, აღნიშნა ასევე ის რომ, ამ პროგრამაში კარგად იყო წარმოდგენილი მენეჯმენტის ნაწილი, რომელიც რამდენიმე სასწავლო კურსს მოიცავდა, საფუძვლები მენეჯმენტი, ინოვაციების მენეჯმენტი, საოპერაციო მენეჯმენტი და ა.შ. შესაბამისად მას აინტერესებდა, დაწესებულების პოზიცია, ხედვა, მენეჯმენტში სტრატეგიის წარმოდგენა აღარ იყო საჭირო თუ საშუალება აღარ იყო ამისა

და აქვე დაამატა, რომ არჩევით ნაწილში კიდევ იყო საშუალება საპროექტო მენეჯმენტის არჩევის. ვახტანგ ჩქარეულმა აღნიშნა, რომ მენეჯმენტის კომპონენტი საკმაოდ მსუყედ იყო წარმოდგენილი პროგრამაში, თავად ფინანსების მიმართულებით დარგობრივ პროფესიული საგნები მათ შორის საკმაოდ დიდი ფარავს სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილს, ეს იქნება ინვესტიციების საგანი, ფინანსური მენეჯმენტი, რისკ მენეჯმენტი და ა.შ. შესაბამისად ეს კომპონენტები გარდა იმისა, რომ მენეჯმენტის მიმართულების დასახელების საგნების ქვეშ არის გაბნეული, ასევე გვხვდება წმინდა დარგობრივი მიმართულების საგნებშიც. საბჭოს წევრს ასევე ტექნიკური ხასიათის შეკითხვა ჰქონდა ეკონომიკებში, მიკრო და მაკრო ეკონომიკაში, სადაც იგეგმება სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის დაგეგმა, აღნიშნა, რომ ლიტერატურა არის „მენქიუ“ კლასიკური სახელმძღვანელო, რომელიც არის 2008 წლის მას მერე 2015 ში და 2017 გამოვიდა და სავარაუდოდ საჭირო იქნება ამ ავტორის უახლესი გამოცემის მითითება და კორექტირება. ასევე გააჟღერა, რომ დამატებით ლიტერატურაში ასახულია „ტეილორი“, ძალიან საინტერესო რომელიც უკვე ითარგმნა და ყველა უნივერსიტეტი მიიღებს სასაჩუქრე ფონდის სახით, შესაბამისად ექნება დაწესებულებას ინგლისური წყაროს ნაცვლად სტუდენტებს შესთავაზოს ქართული ვერსია, რომელიც სტუდენტებს გაუადვილებს სასწავლო პროცესს, განაცხადა მან. ვახტანგ ჩქარეულმა აღნიშნა რომ ეთანხმება საბჭოს წევრს და მას თავად აქვს გამოცდილება ტეილორის სწავლებისა ინგლისურ ენაზე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, შესაბამისად მადლობა გამოთქვა საჩუქრისათვის და აღნიშნა, რომ აუცილებლად აღნიშნულის ქართული თარგმანი იქნება ჩართული კურსების სილაბუსში, როგორც სასწავლო ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა აკაკი ხელაძემ კომენტარი გააკეთა რეკვიზიტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რომელსაც ინსტიტუცია დაეთანხმა. აღნიშნა მან, რომ ჩანაწერი არის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც პროექტების მართვა არის წინაპირობა სტრატეგიული მენეჯმენტის, ექსპერტების შეთავაზება რომ ეს კონკრეტული არ იყოს წინაპირობა რადგან, კონტექსტის გაგების კუთხით შესაძლებელია არ იყოს საჭირო პროექტების მართვის შესწავლა, თუმცა სილაბუსის მიხედვით მიზანი სტრატეგიული მენეჯმენტის არის ორივე ნაწილი, ფორმირება და ორგანიზება. სტრატეგიული მართვა, როგორც დაგეგმვის ასევე განხორციელების არის კლასიკური ნაწილი პროექტის განხორციელების შემთხვევა, რადგან ნებისმიერი ცვლილება თუ გაფართოება, არის კლასიკური მაგალითი პროექტის განაცხადა მან. შესაბამისად მისი მოსაზრებაა, რომ აუცილებლად უნდა იყოს წინაპირობა მითითებული საგანი. შესაძლებელია ეს რჩევაში იქნას გადასული, თუმცა ეს ინსტიტუციის გადასაწყვეტია, განაცხადა მან. რაც შეეხება რეკომენდაციას პროგრამის თანახელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით, ექსპერტებთან ჰქონდა თხოვნა, რომ დაეზუსტებინა ეს კონკრეტული საკითხი, რადგან თვითშეფასებაში არაფერი იყო ნათქვამი ამის შესახებ. სტანდარტი ითხოვს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდეს პროგრამის შემუშავების აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ექსპერტები გასცემენ რეკომენდაციას, რომ თანახელმძღვანელი იყოს MBA აკადემიური ხარისხი პროგრამის დარგიდან, თუ კი არის ამის შესაძლებლობა. შესაბამისად, მას აინტერესებდა ფაქტობრივი მდგომარეობა რა იყო, რის საფუძველზეც რეკომენდირებულია თანახელმძღვანელი დანიშვნა. დააზუსტა დაწესებულების წარმომადგენელმა რომ ეს იყო რჩევა და არა რეკომენდაცია. ასევე ექსპერტმა ნინო ფარსადანიშვილმა დაადასტურა, რომ იყო რჩევა და სამომავლოდ პროგრამის განვითარებისათვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით იყო გაცემული.

საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ციფრული მარკეტინგის პროგრამაში 1.4. სტანდარტში, ფინანსური რესურსების მართვის წინაპირობად რეკომენდაციაში იყო ამოტანილი სტატისტიკა, ხოლო დასკვნის ნარატივში იყო განსაზღვრული ფინანსური აღრიცხვის შესავალი კურსი ან ფინანსური აღრიცხვის კურსი, შესაბამისად რომ არ მოხდეს აღრევა, საჭიროა გამიჯვნა რომელს უნდა დაეყრდნოს საბჭო განაცხადა მან. დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ პრობლემა სწორედ მაშინ არის როდესაც დასკვნის პროექტში იყო მითითება რომ დამატებულიყო სტატისტიკა ბიზნესისთვის და

შემდეგ დასკვნაში იყო უკვე ჩანაწერი რომ დამატება მომხდარიყო შესავალი ფინანსებში ან ფინანსური აღრიცხვა.

ექსპერტმა თამარ ლეკიშვილმა დაამატა რომ თავიდანვე საუბარი იყო ამ შემთხვევაში, რომ პრობლემას ექსპერტებისთვის წარმოადგენდა ის, რომ ფინანსური რესურსების მართვა ისწავლება ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მარკეტინგის პროგრამაში, რაც მათი მოსაზრებით, იმ კანდიდატებისთვის, რომლებიც სხვა საფუძვლით მოდიან ამ პროგრამაზე, იქნებოდა დაუძლეველი. რეკომენდაციის მთავარი სათქმელი იყო ის, რომ აუცილებელია ფინანსური მიმართულებით, კონცეფციებისა და დეფინიციების დონეზე მაინც ჰქონდეს საბაზისო ცოდნა რომ ეს კურსი იქნას დაძლეული და რაც შეეხება, ტექნიკურ ხარვეზს, ეს არის ნამდვილად ტექნიკური ხარვეზი, დისკუსია და მსჯელობა დაკავშირებული იყო მთავარ ნაწილში იყო „შესავალი ფინანსებში“ და საბოლოოდ რეკომენდაციის ნაწილშიც უნდა იყოს ეს ასახული, განაცხადა მან.

ანა გოგიჩაძემ მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა განსახილველ საკითხს, მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იყო ასეთი სახის, რომ სტატისტიკა ბიზნესისათვის გამხდარიყო ფინანსური მართვის კურსის წინაპირობა. არგუმენტირებულად ასახა დაწესებულებამ რომ ეს კურსი ვერ გახდება ფინანსური მართვის კურსის წინაპირობა რამეთუ, არ მოიცავდა ისეთ საკითხებს რომელიც შეიძლება აღნიშნული კურსის წინაპირობა ყოფილიყო „ეს კურსი არის შემუშავებული სპეციალურად იმისათვის, რომ წარმოადგენდეს წინაპირობას შემდეგი კურსისთვის რაოდენობრივი კვლევა და მონაცემთა ანალიზი excel-ის გამოყენებით, მან აღნიშნა, რომ ისწავლება მარკეტინგული კვლევა, რაოდენობრივი კვლევა და მონაცემთა დამუშავება. შესაბამისად სწორედ ამისთვის იყო საჭირო აღნიშნული კურსი „სტატისტიკა ბიზნესისათვის“, აღნიშნა მან. "ფინანსური რესურსების მართვა" არის საკვებით განსხვავებული კურსი, რომლის წინაპირობა ეს აღნიშნული კურსი ვერ იქნება.

თამარ გვიანიშვილმა დააზუსტა, რომ ის სასწავლო კურსები, რომლებიც შეთავაზებულია ექსპერტების მიერ, არ არის პროგრამაში, შესაბამისად იმისათვის, რომ რეკომენდაცია იქნას შესრულებული ახალი სასწავლო კურსის დამატება უნდა მოხდეს.

ვახტანგ ჩქარულმა დაამატა, რომ სილაბუსში მითითებული თითოეული საკითხი მოცემულია ეტაპობრივი გაღრმავებით, სტუდენტები იწყებენ თავიდანვე შესავლით, აღრიცხვის კომპონენტებით იწყებენ სწავლებას შემდეგ ამას ემატება რამდენიმე მენეჯერული აღრიცხვის კომპონენტი და ფინანსური მენეჯმენტის კომპონენტი, რაც ერთობლივად, ზუსტად იმ უნარ-ჩვევებს აწვითარებს რაც ამ პროგრამისთვის არის მნიშვნელოვანი.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, არსებობდა თუ არა პროგრამაზე მიღების წინაპირობა, დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ გვიანიშვილმა, აღნიშნა, რომ ის გახლავთ საბაკალავრო პროგრამა და მიიღება სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით.

ექსპერტმა თამთა ლეკიშვილმა დაამატა პოზიციას, სტატისტიკა რატომ იყო მოხსენიებული ექსპერტების მხრიდან, გახლავთ, ის რომ ვინაიდან ფინანსური რესურსების ანალიზი მოითხოვს რაოდენობრივი ანალიზის ცოდნის მეთოდებსაც, მოდელებს, პროგნოზირების ბიუჯეტის ანალიზი და ა.შ. ამისთვის იყო მოაზრებული სტატისტიკის ქონდა, ამ შემთხვევაში სტატისტიკაც არ არის წინაპირობა და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე იწყება სწავლება ფინანსური რესურსების მართვისა.

სხდომის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ დაამატა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა თუ კი სტატისტიკა გახდება წინაპირობა დაწესებულებას მოუხდება სერიოზული ცვლილებების განხორციელება, გეგმაში, თუმცა აქვე აღნიშნა მან, რომ ფინანსური რესურსების მართვაში რატომ არ შეიძლება მაგალითად იყოს მათემატიკა წინაპირობად, და რატომ მაინცდამაინც „სტატისტიკა“ მისთვისაც გაუგებარია.

ექსპერტმა თამთა ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ საბოლოო დასკვნაში სტატისტიკა არ არის დატოვებული, არამედ საბოლოო დასკვნაში წინაპირობად არა სტატისტიკა, არამედ შესავალი ფინანსებშია განხილული.

ვახტანგ ჩქარულმა დაამატა განსახილველ საკითხს, რომ ნახსენებია, შემდგომ საკითხებში ისწავლება ფინანსური ანგარიშგება და ა.შ. ეს უნდა იყოს ამ მოცემულობით, ფინანსების პროგრამაზეც კი როდესაც „ფინანსური აღრიცხვა 1“ იწყება ეს საგანი მაშინ, როდესაც ჯერ სტატისტიკას და მათემატიკას პარალელურად გადიან, საწყის ეტაპზე საფუძვლის მიუხედავად, ეს ისედაც საწყის ეტაპზე ისწავლება, რადგან იგი საწყის ეტაპზევე ისწავლება და მას რაიმე სიღრმისეული ცოდნა არ სჭირდება, და ის რაც სჭირდება, კურსში გათვალისწინებულია, რომ სტუდენტებმა ეტაპობრივად განავითარონ ეს უნარ-ჩვევები, განაცხადა მან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:16

დასრულების დრო: 17:52

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები

კლასტერული:

- რეკომენდებულია, დანერგოთ სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ "მენეჯმენტის საფუძვლები" განისაზღვროს "ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევისა და ბიზნესის მდგრადი განვითარების" კურსის წინაპირობად;

- რეკომენდებულია, ამოღებულ იქნას "პროექტების მენეჯმენტი" "სტრატეგიული მენეჯმენტის" წინაპირობების სიიდან .
- რეკომენდებულია, "სტრატეგიული მენეჯმენტი" გახდეს "ბიზნეს პროექტის" კურსის წინაპირობა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული საათები (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) გადაიხედოს სილაბუსებში მოცემული თემატიკის სირთულისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. კერძოდ: ფინანსური აღრიცხვა I და II (თითოეულს მინიჭებული აქვს 3 კრედიტი, ჯამში 6 კრედიტი), მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები (თითოეულს მინიჭებული აქვს 3 კრედიტი, ჯამში 6 კრედიტი). მათი სწავლის შედეგებისა და სილაბუსებში მითითებული თემების სირთულის გათვალისწინებით, საჭიროა მეტი სამუშაო საათის (საკონტაქტო და პლუს დამოუკიდებელი სამუშაო საათები) გამოყოფა, რათა უზრუნველყოფილი იყოს თემატიკის სრულფასოვნად დაუფლება და სწავლის შედეგების მიღწევა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველია სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

ინდივიდუალური რჩევები:

- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს MBA ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შემდგომი განვითარების უკეთ დაგეგმვას.
- სასურველია, დაინერგოს სწავლა-სწავლების საკითხებში პერსონალის მომზადების სისტემური მექანიზმი, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის **პროგრამა 1-ის ფარგლებში.**
- სასურველია, "სტრატეგიული მენეჯმენტი" ისწავლებოდეს "პროექტების მენეჯმენტამდე".
- სასურველია გადახედოდა იქნას სტრატეგიული მართვის კურსის შინაარსი;

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები

კლასტერული:

- რეკომენდებულია, დანერგოს სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, წინაპირობები განისაზღვროს უფრო ლოგიკური თანმიმდევრობით, მაგალითად, სასწავლო კურსი "ფინანსური ანგარიშგება" განისაზღვროს "აუდიტის" წინაპირობად, რაც ხელს შეუწყობს როგორც თემატიკის უკეთ ათვისებას, ისე სწავლის შედეგების მიღწევას.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული საათები (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) გადაიხედოს სილაბუსებში მოცემული თემატიკის სირთულისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. კერძოდ: ფინანსური აღრიცხვა I და II (თითოეულს მინიჭებული აქვს 3 კრედიტი, ჯამში 6 კრედიტი), მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები (თითოეულს მინიჭებული აქვს 3 კრედიტი, ჯამში 6 კრედიტი). მათი სწავლის შედეგებისა და სილაბუსებში მითითებული თემების სირთულის გათვალისწინებით, საჭიროა მეტი სამუშაო საათის (საკონტაქტო და პლუს დამოუკიდებელი სამუშაო საათები) გამოყოფა, რათა უზრუნველყოფილი იყოს თემატიკის სრულფასოვნად დაუფლება და სწავლის შედეგების მიღწევა.
- რეკომენდებულია, ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა და მისაღები სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველია სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

მოწინააღმდეგე -0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები

კლასტერული:

- რეკომენდებულია, დაწერგოთ სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ "მენეჯმენტის საფუძვლები" გახდეს "ბიზნესის ეტიკეტისა და პროტოკოლის" წინაპირობა.
- რეკომენდებულია, რომ „ციფრული მარკეტინგი“ და „მომხმარებელთა ქცევა“ გახდეს „სოციალური მედიის მარკეტინგის“ კურსის წინაპირობა და ეს კურსი გადავიდეს შემდეგ სემესტრში, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსების შინაარსის ლოგიკური განვითარება და შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევა.
- რეკომენდებულია "ფინანსური რესურსების მართვის" კურსისთვის წინაპირობად განისაზღვროს ისეთი საგანი, როგორიცაა "შესავალი ფინანსებში" ან "ფინანსური აღრიცხვა".

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველი სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

ინდივიდუალური რჩევები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ აისახოს პროგრამის ციფრული ასპექტი.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები

კლასტერული:

- რეკომენდებულია, დანერგოს სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველი სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

ინდივიდუალური რჩევები:

- სასურველია, პროგრამის წინაპირობის კომპონენტში გასაუმჯობესებლად დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობა დაზუსტდეს ჩანაწერში და იგივე ინფორმაცია, გასაუმჯობესებლად შეფასების სქემასთან ერთად, განთავსდეს ყველა საინფორმაციო პლატფორმაზე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი მენეჯერებისათვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები

კლასტერული:

- რეკომენდებულია, დანერგოს სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველი სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

ინდივიდუალური რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განათავსოს სპეციალობის შიდა გამოცდის საკითხები/ნიმუშები და მათი შეფასების სქემა.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები

კლასტერული:

- რეკომენდებულია, დანერგოს სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველი სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები

კლასტერული:

- რეკომენდებულია, დანერგოს სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომლებიც იძლევა მკაფიო დასაბუთებას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკის (და ამ ნიშნულებიდან გადახრის დასაშვები ზღვრის) და შეფასების პერიოდულობის შესახებ.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული:

- სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის მომზადებული თვითშეფასების ანგარიშები აღწერდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს, მათი განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებსა და შესრულების ვადებს.
- სასურველი სასწავლო მასალები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.
- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მომზადების სისტემური აქტივობები სწავლა-სწავლების საკითხებში, განსაკუთრებით მოწვეული და დამწყები პედაგოგებისთვის.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, კლასტერში შემავალი ყველა პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 3 დეკემბერს.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

დაწყების დრო: 17:54

დასრულების დრო: 18:07

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ. აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას განსახილველ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ვინაიდან სხდომას ვერ დაესწრო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე საერთაშორისო ექსპერტი - პაულო ვილა მაიორი Paulo Vila Maior, მისი პოზიცია საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის თარჯომანმა, ანა ლელაძემ.

ექსპერტის მიერ გამოგზავნილ წერილში, ასახულია მისი შემდეგი პოზიცია, აღნიშნა, რომ დიდი პატივია მისთვის წარმოდგენდეს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები ISET ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით. ფინანსების სამაგისტრო პროგრამა არის ორ წლიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც სტრუქტურირებულია CFAS კურიკულუმის გარშემო, მისი შინაარსი 70%-ზე მეტი შეესაბამება სწორედ ამ სტანდარტებს და აფილირებულია CFAS ინსტიტუტის მიერ. 2023 წელს პროგრამამ მოიპოვა ოთხწლიანი აკრედიტაცია, რომლის დროსაც გამოვლინდა ოთხი კრიტიკული რეკომენდაცია ISET-მა იმოქმედა რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით და განახორციელა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორიც არის შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება, პრაქტიკული საათების გაზრდა და მიღების წინაპირობების გადახედვა. გაძლიერდა თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.

მიმდინარე აკრედიტაციის ციკლის ფარგლებში 2024 წლის 25 ივლისს განხორციელდა ვიზიტი დაწესებულებაში, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ

პერსონალის სტუდენტებს, კურსდამთარებულებსა და დამსაქმებლებს, რამაც ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მისცა სიღრმისეულად გაცნობოდა პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბიბლიოთეკები საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიები და ონლაინ რესურსები. შეფასება განხორციელდა შემდეგი სტანდარტების მიხედვით, პირველი სტანდარტი, პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ვინაიდან მიზნები და შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. მეორე სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული 2.2. კომპონენტის სრულად შესაბამისობის მიზნით გამოვლენილია პრაქტიკული უნარების უკეთ ინტეგრირების საჭიროება. მესამე სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს სფეროში პროგრამა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის პრაქტიკა საჭიროებს შემდგომ ფორმალიზებას. მეოთხე სტანდარტი, ხელმისაწვდომია ადეკვატური რესურსები, თუმცა დატვირთვის სქემა და ადამიანური რესურსების განაწილება საჭიროებს მეტ სიცხადეს და გაუმჯობესებას. მეხუთე სტანდარტი, პროგრამა გამოირჩევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებით. პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ჩამოყალიბებულია სამი რეკომენდაცია. შემაჯამებელი პროექტი კრედიტების გაზრდა მინიმუმ ხუთი კრედიტის გამოყოფა, შემაჯამებელი პროექტისთვის გაძლიერების სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობის დაზუსტება, პროგრამამ უნდა დააზუსტოს აღნიშნული საკითხი, ხელმძღვანელობის თანამიმდევრულობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. პერსონალის დატვირთვის გაუმჯობესება, არსებული სქემა უნდა მოიცავდეს აკადემიურ და მოწვეული პერსონალის დატვირთვის საკონსულტაციო საათებს და სხვა პასუხისმგებლობებს. დაწესებულებამ გამოავლინა საგულისხმო ძალისხმევა რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართულებით, განსაკუთრებით შეფასების მეთოდების გადახედვის და პრაქტიკული კომპონენტის გათვალისწინებით, თუმცა ზოგიერთი სფერო საჭიროებს შემდგომ რეაგირებას, კერძოდ: პოლიტიკის დოკუმენტებში უნდა განხორციელდეს სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანაფარდობის ფორმალიზება, ნაშრომის ხელმძღვანელის თანამიმდევრულობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით და დატვირთვის გამჭირვალობა განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს სტუდენტთა კონსულტაციების და კვლევითი პასუხისმგებლობების საათები. ასევე, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის უწყვეტი განვითარების და სრულყოფის უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა, სასურველია დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები იმისათვის, რომ გაძლიერდეს პროცესის გამჭირვალობა. პროგრამის თვითშეფასების პროცესში სტუდენტების ჩართულობის წახალისება ხელს შეუწყობს ინკლუზიურობის და გაუმჯობესების კულტურის დანერგვას. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სტუდენტებისათვის პოტენციური ხელმძღვანელის და მათი კვლევითი სფეროების შესახებ, სიის სახით ინფორმაციის მიწოდება გააძლიერებს აკადემიურ მხარდაჭერას. დამატებით საერთაშორისო საფინანსო მონაცემთა ბაზებზე წვდომის გაუმჯობესება გააძლიერებს კვლევისათვის და ანალიზისათვის ხელმისაწვდომ რესურსებს. სტუდენტების მოზიდვის და ჩარიცხვის მიზნით და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სტრატეგიულ მარკეტინგულ ძალისხმევას მათ შორის, სოციალური მედიის და სარეკლამო ქმედებების განხორციელებას. ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან ფორმალური ჩართულობის პროცესების განვითარება ხელს შეუწყობს პროგრამით თანამშრომლობით მიდგომას, ხოლო დარგობრივ მახასიათებლებთან თანამიმდევრული მონიტორინგი უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობა ინდუსტრიის სტანდარტებთან და ტენდენციებთან, რაც ხელს შეუწყობს მის უწყვეტ განვითარებას. პროგრამა იმყოფება იმედისმომცემ ტრაექტორიაზე, ისეთი მნიშვნელოვანი მიღწევებით და გეგმებით როგორც არის, CFAS-თან აფილირება და საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების სურვილი საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი მეშვეობით. თუმცა წარმოდგენილი რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება კრიტიკულად

მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად და პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის, აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თავის პოზიციაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელმა თეიმურაზ გოგსაძემ მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები ყველა შესრულებულია, არ აქვს დაწესებულებას არცერთი რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინება არ მოხდა. აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა შემაჯამებელი პროექტის კრედიტების რაოდენობის გაზრდას, მისი კრედიტები განსაზღვრული იყო ოთხით, ხოლო რეკომენდაციის შესაბამისად კრედიტების რაოდენობა გაიზარდა ხუთამდე. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და კვლევის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, დაზუსტებულიყო ხელმძღვანელისა და სტუდენტების თანაფარდობა, აღნიშნა, რომ ეთანხმებიან ამ რეკომენდაციასაც და თანაფარდობის განსაზღვრის აუცილებლობას და აქვე აღნიშნა, რომ ეს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამა, მიუყვება და სრულად იზიარებს თსუ-ს ძირითად სტანდარტს, რომლის მიხედვით ერთ აკადემიურ პერსონალს ასევე მოწვეულ პერსონალს შეუძლია არაუმეტეს ხუთი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა. აღნიშნა, რომ წელს იქნება პირველი წელი, როდესაც მოხდება სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა და დაცვა და რა თქმა უნდა ეს სტანდარტი იქნება, გათვალისწინებული. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის დატვირთვის სქემას და გულისხმობდა, რომ ის უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არამხოლოდ სწავლების, არამედ სამეცნიერო კვლევითი და ასევე სხვა დატვირთვის შესახებ, აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისად, ასევე ითვალისწინებდეს სტუდენტთა საკონსულტაციოს გამოყოფილ საათებს. საკონსულტაციო გამოყოფილი საათები არის პროგრამაში მიღებული და გათვალისწინებული პრაქტიკა, ყველა სილაბუსით არის გათვალისწინებული საკონტაქტო საათები, იგივე საოფისე საქმიანობა ასევე შრომითი ხელშეკრულებები აკადემიური პერსონალისა ითვალისწინებს საკონსულტაციო დატვირთვის რვიდან თორმეტსაათამდე აკადემიური პოზიციიდან გამოდინარე განაცხადა მან. ასევე, აღნიშნა, რომ ითვალისწინებს რეკომენდაციას დაწესებულება მოწვეული პერსონალის კონტრაქტებში ასახულ იქნას, ამ დრომდე არ ყოფილა თუმცა ამის შემდეგომ იქნება ასახული კონკრეტულად ეს ინფორმაცია. რაც შეეხება სამეცნიერო კვლევით დატვირთვას, ის უკვე ასახულია აკადემიური პერსონალის კონტრაქტში, როგორც 50% პედაგოგიური მუშაობის და 50% სამეცნიერო კვლევით მუშაობისათვის, ხოლო მოწვეულ პერსონალს რაც შეეხება, ბევრი მათგანი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, თუმცა დაწესებულებას მიაჩნია, რომ არ არის მათი საკონტრაქტო ვალდებულება და არ უნდა იყოს გათვალისწინებული მათ სრულ დატვირთვაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრ დიმიტრი ჯაფარიძეს რამდენიმე კითხვა ჰქონდა. პირველი ეხებოდა პერსონალის დატვირთვას და იმას, რომ მოწვეული პერსონალი იგივე დატვირთვით სამეცნიერო კვლევით ნაწილში შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული. მას აინტერესებდა, პროგრამას აფილირებული აკადემიური პერსონალი რამდენი ყავს მიმდინარე ეტაპზე და როგორია პროპორცია მოწვეული და აფილირებული პერსონალისა. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრულად არის ჩვიდმეტი პერსონალი და როგორც დასკვნიდან ჩანს, სამი აკადემიური და თოთხმეტი მოწვეული პერსონალი.

საბჭოს წევრს დასაზუსტებლად აინტერესებდა როგორ მიიჩნევდნენ პროგრამის აკადემიური უზრუნველყოფილს მდგრადობის თვალსაზრისით ეს პროპორცია მისაღები იყო თუ არა და საჭიროებდა თუ არა ეს საკითხი გაუმჯობესებას. რაზედაც აღნიშნა დაწესებულების მხრიდან, რომ ფაკულტეტზე ერთიანად ცხადდებოდა აკადემიური თანამშრომლების მიღება, გაზრდის

ტენდენცია სამომავლოდ იქნებოდა ამ მიმართულებით, ასევე ნინო მუხურაძემ აღნიშნა რომ მეორე წელია რაც ხორციელდება უკვე სტუდენტების მიღწევა, ამ პერიოდისათვის ერთიანი ეროვნულ გამოცდების გზით სამაგისტრო პროგრამაზე მიღებულია 35 პირი, ხოლო რაც შეეხება განსახილველ პერიოდს რის შეფასების ფარგლებშიც არის წარმოდგენილი მიმდინარე ანგარიში იმ პერიოდისათვის სტუდენტთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე იყო თხუთმეტი.

ასევე საბჭოს წევრს ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვა, მას აინტერესებდა ამ თვალსაზრისით როგორ იყო პროგრამის მდგომარეობა და ასევე აინტერესებდა, ჰქონდათ თუ არა შესწავლილი სწავლის საფასურის მიხედვით დაფარვა ხდებოდა თუ არა კერძო ფინანსებიდან თუ საგრანტო დახმარებით ახერხებდნენ სწავლის საფასურის გადახდა სტუდენტების, ესეც გრძელვადიან პერსპექტივაში საფინანსო მდგრადობის საკითხს შეეხებოდა, რადგან აღნიშნა რომ იყო საფაკულტეტო, საგრანტო თუ პირადი ფინანსები. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების უმრავლესობა იყო პროფესიონალი ფინანსების მიმართულებით და მათი უმეტესობა თავად აფინანსებდა სწავლას, იყო რამდენიმე სტუდენტი კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად მოჰქონდათ გრანტი ძირითად, მათივე სამსახურებიდან და არ ახსენდება სტუდენტი, რომელსაც გრანტი ჰქონოდა მოპოვებული საერთაშორისო ორგანიზაციიდან. ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით მიიჩნევს დაწესებულების წარმომადგენელი, რომ საკმაოდ მდგრადია პროგრამა ვინაიდან, არ ახსენდება სტუდენტს სწავლის საფასურის გადავადებასთან დაკავშირებით მოემართოს ადმინისტრაციისათვის, ასევე აღნიშნა რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ დგას.

საბჭოს წევრ დიმიტრი ჯაფარიძეს ერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით ჰქონდა შეკითხვა, კვლევის მეთოდები, ორი კონტექსტი აინტერესებდა მას, პირველი სადაც შეფასების სისტემაში იყო ორი კომპონენტი, აქტივობა და დასკვნითი გამოცდა, აქტივობა 40 ქულა დასკვნითი გამოცდა 60 ქულა. იგივე სახით იყო თუ არა დღეს შეფასების მეთოდები წარმოდგენილი რაც დაადასტურა პროგრამის ხელმძღვანელმა რომ იგივე სახით იყო შეფასების სისტემა დრის მდგომარეობითაც. საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ამ სასწავლო კურსში, კვლევის მეთოდების კურსი და მისი ძირითად წყარო იყო john cresweel-ის „კვლევის დიზაინი“ შესაბამისად კვლევის მეთოდებს და კვლევის დიზაინს განასხვავებენ სასწავლო კურსებში. ამ შემთხვევაში მიზანი კურსისა არის კვლევის დიზაინის მიმართულებით, რაც არ გულისხმობს რომ აქ საუბარია კვლევის მეთოდების ჩაშლაზე. მას აინტერესებდა როგორ ფიქრობდა დაწესებულების წარმომადგენელი შინაარსი მიესადაგებოდა თუ არა სასწავლო კურსის დასახელებას. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ ამ დრომდე ეს საკითხი არ დასმულა, აღნიშნა რომ მოიაზრებს სათაურში ყოველთვის იმას, რაც არის შინაარსი, სიღრმისეულად ისწავლება რაოდენობრივ მეთოდები და შემდეგომ ხდება შეთავაზება კვლების მეთოდებისა. შესაბამისად ეთანხმება საბჭოს წევრს რომ ლოგიკურად უფრო კვლევის დიზაინია ვიდრე სიღრმისეულად კვლევის მეთოდების მიმოხილვა, ვინაიდან სტუდენტებს უკვე გავლილი აქვთ კვლევის მეთოდების რაოდენობრივი მხარე, მაგრამ მეორეს მხრივ არ აქვთ ინფორმაცია ხარისხობრივ კვლევის მეთოდებზე და სწორედ ამ ნაწილის დაფარვა ხდება ამ კურსში, დაწესებულება უფრო აღიქვამს კურსს, რომელიც აერთიანებს უკვე მიღებულ ცოდნას თუმცა ეთანხმება დაწესებულება რომ კურსის დასახელების შეცვლა შეიძლება.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გამომდინარე იქედან, რომ იცის რა დაწესებულების შესაძლებლობები განსაკუთრებით რაოდენობრივ ნაწილში, რომელიც კარგად არის ინტეგრირებული პროგრამაში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები დაერქვას და განვასხვაოთ კვლევის მეთოდებისაგან, შესაბამისად საუბარია კურსის სათაურის შეცვლაზე, რჩევის სახით განაცხადა საბჭოს წევრმა. რადგან მსოფლიოში დაუსრულებელი დისკუსიაა იმის თაობაზე რაოდენობრივი თუ თვისობრივი, ამიტომ იგნორირება მთლად არ ივარგებდა, შესაბამისად რჩევა რომ სათაური შეეცვალოს კურსს, ასევე თვისობრივ მეთოდოლოგიურ ნაწილში შემოტანილ იქნას ახალი სასწავლო კურსი. რაზედაც დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელმა რომ უმჯობესია გადაერქვას შემოთავაზებულ კურსს სახელწოდება, ხოლო

ახალი სასწავლო კურსის შემოტანასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ რამდენად რელევანტური იქნება cfas მოდელზე აგებული პროგრამისთვის რომელიც თითქმის ასი პროცენტით არის რაოდენობრივი, შესაბამისად ამ ნაწილში ვერ დაეთანხმება მას, რადგან ხალ კურსის შემოტანა შეცვლის სტრუქტურას რადგან გაჩდება ახალი სასწავლო კურსების გაჩენის საჭიროება, რომელიც გამოიწვევს არსებული კურსების კრედიტების შემცირებას.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამა დიპლომირებული ფინანსური ანალიტიკოსის პროგრამის ქარგზეა მოჭრილი, ეს არის აკადემიური პროგრამა შესაბამისად, მას გააჩნია თავისი ფილოსოფია და თავისი დიაპაზონი და თუ აკადემიურ პროგრამაში სასწავლო მასალად მეთოდოლოგიას იღებს პროფესიული მაღალი ხარისხის პროგრამის სტანდარტს ეს კი მისასაღმებელია, თუმცა აკადემიური პროგრამებს გაცილებით ფართო ჰორიზონტი გააჩნია. მას ასევე აინტერესებდა ხომ არ იყო, რაიმე ინსტიტუციურ ბმა რომ შემდგომ ჩააბაროს პირმა გამოცდა cfas-თან, რაც დაადასტურა პროგრამის ხელმძღვანელმა რომ აფილირება მოპოვებულია წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც არის ამიერკავკასიაში ერთადერთი, ხოლო საბაკალავრო პროგრამა არსებობს აზერბაიჯანში, რაც იძლევა ბენეფიტებს რომ წელიწადში ორჯერ იძლევა შესაძლებლობას გამოცდის ჩაბარებას. მეორეს მხრივ შეზღუდულია დაწესებულება, იმისათვის რომ ჰქონდეს cfas აფილირება კურიკულუმის მინიმუმ უნდა იყოს მათი მასალის 70% ასახული.

ბოლო საკითხი საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ დასვა, რომ სამეცნიერო კვლევით ნაწილში არის ასახული, საქმიანობის თვითშეფასების სხვადასხვა სახეები გამოქვეყნებას შეეხება, შესაბამისად მას აინტერესებდა როგორ ხდებოდა პრაქტიკაში შეფასება, ეს კითხვა მიემართებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მაგალითად გათვალისწინებულია რომ თუ კი მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში ხდება გამოქვეყნება მაგალითად „scopus” და ა.შ. ამაზე არის 100 ქულა, ეს ნიშნავს რომ თუ კი ერთი სტატია გამოქვეყნდა და 100 ქულა იქნა მიღებული ეს საკმარისი იყო თუ არა ხუთი წლის განმავლობაში. რაზედაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა რომ მოთხოვნები არის უნივერსიტეტის მინამალური სტანდარტები, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ არის დამტკიცებული.

აკადემიური წლის განმავლობაში ასოცირებულმა პროფესორმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ის 50% ხელფასის რომელიც მას ერგება სამეცნიერო საქმიანობის ნაწილში, ას ორმოცი ქულა უნდა დააგროვოს მან, ეს შეიძლება იყო სამეცნიერო კონფერენციები და სხვა და სხვა. ასევე, განაცხადა რომ ერთ-ერთ რეკომენდაცია შეეხებოდა მოწვეული პერსონალის აქტივობას სამეცნიერო თვალსაზრისით, დაწესებულება ამას აფასებს, ეს ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული, თუმცა მზადდება თვითშეფასების ანგარიშები, იგივე აკადემიური საბჭოს დადგენილების მიხედვით. აკადემიური პირი თვითშეფასებას აკეთებს ყოველ კალენდარულ წელს, აქტიურად არის ჩართული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა და წლის ბოლოს ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოზე იქნება განხილული წარმოდგენილი ანგარიშები.

საბჭოს წევრ ციური დურულს კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, პერსონალის დატვირთვისთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციით შესაბამისად, მან აღნიშნა რომ, დოკუმენტების შესწავლის შედეგად ჩანს, რომელიც 2021 წლით თარიღდება, დაწვრილებით არის გაწერილი იგივე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კუთხით ვალდებულება და გასაკვირია, რომ დასკვნის აღწერილობით ნაწილში არ იყო მოხსენიებული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დატვირთა და ისე ჩანს რომ ადმინისტრაცია არ ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის მხრიდან სამეცნიერო დატვირთვის არსებობას, განაცხადა მან, შესაბამისად, აინტერესებდა გაცემული რეკომენდაცია რას ითვალისწინებდა უფრო კონკრეტულად. სხდომაზე აღინიშნა, რომ ალბათ საკითხი იდგა როდესაც ბაზაში მოწმდება დატვირთავ იქ არ არის ასახული ამ ნაწილში, რაზედაც ციური დურულმა განაცხადა, რომ „EMIS“-ის ბაზაში არც უნდა

გამოჩენილიყო ეს მოცემულობა, დაწესებულების წარმომადგენელმა ია ნაცვლიშვილმა განცხადა რომ მათ გაიგეს გაცმული რეკომენდაცია, ისე რომ სამეცნიერო მუშაობა საათებში არ იყო ასახული, ამიტომ არ ჩანდა საერთო დატვირთვაში, ბაზის ექსელის ფაილში.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა თუთბერიძემ განაცხადა რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა არის ფლაგმანი და ეკონომიკის მიმართულებით ძალიან დიდი როლი შეასრულა ქვეყანაში როგორც აკადემიურ და პრაქტიკული მიმართებით და მისასალმებელია როდესაც მსგავსი პროგრამა არის შემოთავაზებული, აღნიშნა რომ პროგრამა მაღალ დონეზეა შემუშავებული, მიზნების შედეგების და კურიკულუმის ნაწილში და დარწმუნებულია რომ მნიშვნელოვან როლს ითამაშებ როგორც ეკონომიკის ასევე პრაქტიკულ ნაწილში. ვინაიდან საუბარია ფინანსების მაგისტრზე კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, წინაპირობაში არ იყო პრაქტიკული რაიმე გამოცდილების მოთხოვნა, ეს რამდენად სწორად მიაჩნიათ, ხომ არ ჯობდა რო პრაქტიკული გამოცდილების ნაწილი ყოფილიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გათვალისწინებული. მეორე კითხვა ჰქონდა ფინანსების მაგისტრი, მაგრამ კურიკულუმში პრაქტიკულად უფრო მეცნიერების მაგისტრისკენ იხრება ასევე დასაქმების სფეროები, ეროვნული ბანკი, ფინანსურ ორგანიზაციები და ა.შ. შესაბამისად მას აინტერესებდა, როგორ უყურებდა დაწესებულება ამ მოცემულობას. ასევე აღნიშნა, რომ კურიკულუმის კვლევის ნაწილიც საკმაოდ დიდად იყო მოცემული რადგან მოთხოვნილი იყო სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის ხელმძღვანელმა თეიმურაზ გოგსაძემ განაცხადა რომ პრაქტიკულად პროგრამის სტუდენტები მიუხედავად დაშვების წინაპირობაში გამოცდილების არ ქონისა, ყველა იყო დასაქმებული და პრაქტიკოსი, არ იყვნენ ახალი საბაკალავრო კურსდამთავრებულები, რამდენიმე პირის გამოკლებით. გამოცდილება რომ ჩაიწეროს ეს შესაძლებლობას არ აძლევს კურსდამთავრებულებს რომლებმაც არა აქვთ მუშაობის გამოცდილება და უნდა პირდაპირ გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო საფეხურზე, ასე რომ მიაჩნია რომ ეს თავისუფლების არჩევანის მათ უნდა ჰქონდეთ, რაც შეეხება, მერე ნაწილს, დასახელება ნებისმიერი შეესაბამება იმდენად ფართოა, იქ არის კურსები რომელიც თეორიულია მაგალითად ეკონომიკის კურსები, მაგრამ ფინანსების თითქმის ყველა კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტსაც, ეთანხმება იმ ნაწილში საბჭოს წევრს რომ სამაგისტრო ნაშრომი არის თეორიული თუმცა ის შეიძლება იყოს სხვადასხვა შინაარსი, კონკრეტულ ქეისების ამოხსნაზე დაფუძნებული და ა.შ ამის მიხედვითაც არ არიან შეზღუდულები სტუდენტები, განაცხადა პროგრამის ხელმძღვანელმა თეიმურაზ გოგსაძემ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 18:53

დასრულების დრო - 18:59

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლი სპირველი პუნქტის, 27⁵ მუ

ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული ოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიზარდოს შემაჯამებელი პროექტის (Capstone Project) კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 5 ECTS კრედიტამდე, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციებში სტუდენტების დატვირთვას და უკეთ შეუწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას.
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესის და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ISET-ის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში დაზუსტდეს ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა.
- რეკომენდებულია პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავდეს ინფორმაციას არა მხოლოდ სწავლების, არამედ სამეცნიერო - კვლევითი და სხვა დატვირთვის შესახებ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქცია - მოვალეობების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებდეს სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილ საათებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შეფასების პროცესში სიცხადის და სამართლიანობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდეს და დეტალურად აღინიშნოს ქულობრივი კრიტერიუმები.
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა და მონაწილეობა პროგრამების თვითშეფასების პროცესში.
- სასურველია, დაწესებულებამ სამომავლოდ გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
- სასურველია, მაგისტრატურის სტუდენტებს მიაწოდონ პოტენციური ხელმძღვანელების სია, შესაბამისი კვლევის სფეროების მიხედვით.
- როგორც საერთაშორისო პროგრამას, სასურველია ჰქონდეს გაუმჯობესებული წვდომა საერთაშორისო ფინანსურ მონაცემთა ბაზებზე, როგორც არის Bloomberg ან Refinitiv, რათა გადაიჭრას ამჟამინდელი დამოკიდებულება მხოლოდ ადგილობრივ მონაცემთა წყაროებზე წვდომის და ყოვლისმომცველ საერთაშორისო მონაცემების ანალიზზე შეზღუდული წვდომის საკითხი.
- სტუდენტების ჩარიცხვის საჭირო დონის მიღწევისა და ბიუჯეტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია მეტი სტუდენტის მოზიდვა, მარკეტინგული აქტივობების განხორციელება, სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენება და სხვა აუცილებელი სარეკლამო სტრატეგიების განხორციელება.
- სასურველია, შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალიზებული სტრუქტურა პროგრამის უწყვეტი განვითარების პროცესებში.
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის გუნდთან ერთად განხორციელოს პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი დარგობრივ მახასიათებელთან და გაითვალისწინოს დარგთან დაკავშირებული სხვა ტენდენციები, იმისათვის, რომ

გაადლიეროს პროგრამის უწყვეტი განვითარება და შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელება PDCA ციკლის ფარგლებში.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “არქეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ, საფუძველი, შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართული დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული იყო ხუთი რეკომენდაცია რომელიც გაიზიარა საბჭომ. აკრედიტაციის საბჭომ შეიტანა გარკვეული ცვლილება დასკვნაში, კერძოდ მეოთხე სტანდარტის 4.3. კომპონენტის შეფასება იქნა შეცვლილი როგორც ნაწილობრივ შებასამისი მოთხოვნებთან და შესაბამისად მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან ერთი იყო პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, დანარჩენი იყო კლასტერული, ყველა რეკომენდაცია იყო უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია, მათ შორის კლასტერული. უშუალოდ რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა პროგრამას ითვალისწინებდა, რომ უნდა ყოფილიყო მოყვანილი შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, უნივერსიტეტმა შეასრულა ეს რეკომენდაცია დოქტორანტის შეფასება მოხდება შუალედური და დასკვნითი საფუძველზე, შუალედური სამოცი ქულით განიზაღვრა დასკვნითი ორმოცი ქულით. ეს ცვლილებები შესულია პროფესორების ასისტენტების სამივე სილაბუსში და ყველა საჭირო დოკუმენტში. კიდევ ერთი რეკომენდაცია რომელზედაც ყურადღება გაამახვილა ექსპერტმა კლასტერულ იყო კლასტერული, რომელიც შეფასებულ იქნა როგორც მეტწილად შესრულებული, კლასტერული რეკომენდაცია იყო, იგი ეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსებით უზრუნველყოფაზე და სასწავლო კურსებში განახლებული ლიტერატურის ასახვას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად რომელიმე სილაბუსი არ იყო გათვალისწინებული უნივერსიტეტმა იმუშავა და ოთხი სასწავლო კურსისათვის მოიძია რვა ახალი და თორმეტი დამატებითი ლიტერატურა, მეტწილად შესაბამისად შეფასდა იმიტომ, რომ სამ სასწავლო კურსში იყო შესაბამისი ცვლილება და მეოთხე სილაბუსში სავარაუდოდ იყო ტექნიკური ხარვეზი, ის რაც ანგარიშში იყო ასახული არ იყო სილაბუსში მითითებული. აღნიშნა რომ დანარჩენი რეკომენდაციები შესრულებულია და მიიჩნევს ექსპერტი, რომ უნივერსიტეტმა იმუშავა ყველა საკითხზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები არის შესრულებული და ამ მიმართულებით გასწია ძალისხმევა დაწესებულებამ. ექსპერტის მიერ სრულად იყო წარმოჩენილი და შეფასებული მათი მუშაობის შედეგი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინათ მისი პოზიცია. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები განსახილველი საკითხის ირგვლივ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო- 19:05

დასრულების დრო - 19:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “არქეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “არქეოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის მიღებულ იქნეს ცნობად.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:18 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

დ. ციციშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

გ. ყიფიძე

